

საჯარო მოხელეების საშემოსავლო და ქონებრივი მდგომარეობის
დეკლარაციების შემოწმება საქართველოში

დოქტორი ტილმან ჰოპე
ანტი-კორუფციის ექსპერტი, ბერლინი

19 მარტი 2014

შინაარსი

A.	შეჯამება	4
B.	წინასიტორია	6
1.	დეკლარაციების სისტემის არსებული მდგომარეობა საქართველოში	6
2.	კვლევის ფარგლები	9
C.	შემოწმების პროცედურა: გამდიდრების ასპექტი	9
1	წარდგენის შესაბამისობის შემოწმება	9
1.1	მიზანი	10
1.2	ნიმუში	10
1.3	ანალიზის ნაბიჯები	10
1.3.1	თანამდებობის პირთა ნუსხა	10
1.3.2	ოჯახის წევრების დამატება	11
1.3.3	შემოწმება	12
1.4	შემდგომი ნაბიჯები და სანქციები	12
2	ფორმალური შემოწმება	13
2.1	მიზანი	13
2.2	ნიმუში	13
2.3	ანალიზის ნაბიჯები	13
3	სარწმუნოების შემოწმება	13
3.1	მიზანი	13
3.2	ნიმუში	14
3.3	სათანადო ფინანსური ტერმინოლოგია	14
3.4	დეკლარაციის სახეობები	16
3.5	ანალიზის ნაბიჯები	16
3.5.1	ნაბიჯი 1: შემომავალი ფულის ნაკადი	18
3.5.1.1	გადასახადები	19
3.5.1.2	დაკავშირებული ხაჯრები ან ცვეთა	19
3.5.1.3	სესხები	19
3.5.1.4	აქტივების გარდაქმნა წინა წლიდან	20
3.5.2	ნაბიჯი 2: გამავალი ფულის ნაკადი	22
3.5.2.1	სესხები	23
3.5.2.2	ნადდი ფული	23
3.5.2.3	საჩუქრები, მემკვიდრეობა, მოულოდნელი სიმდიდრე	24
3.5.2.4	სწორი ღირებულებების დადგენა	24
3.5.2.5	აქტივების გარდაქმნა იმავე წლის განმავლობაში	25
3.5.3	ნაბიჯი 3: შემოსავლის და ხარჯის თანაფარდობა	25
3.5.4	თანაფარდობა ოჯახის წევრების მონაცემებთან	27
3.6	საწყისი დეკლარაციები	27
3.7	საბოლოო დეკლარაციები	28
3.8	დასკვნა: დამაჯერებლობის ფორმულა	29
4	აუდიტი	30
4.1	მიზანი	30
4.2	ამოქმედება	30
4.2.1	დარღვევები წინა ნაბიჯებში	30
4.2.2	წითელი დროშები	31
4.2.3	ღია და ანონიმური საჩივრები	32
4.2.4	სიუჟეტები	33
4.2.5	ინფორმაცია სხვა უფლებამოსილი ორგანოებისაგან	33
4.2.6	სხვა დარღვევები	33

4.2.7	შემთხვევითი შერჩევა და კორუფციის რისკი	34
4.3	მეთოდოლოგია	34
4.3.1	ანალიზის ნაბიჯები	34
4.3.2	საგამოძიებო სტრატეგია	34
4.4	ინფორმაციის წყაროები	36
4.4.1	ელექტრონული და წერილობითი მონაცემები	36
4.4.1.1	სახელმწიფო მონაცემთა ბაზები	36
4.4.1.2	საჯარო ქაღალდის საბუთები	37
4.4.1.3	კვლევა ინტერნეტში	38
4.4.1.4	კომერციული ბაზები	38
4.4.1.5	გადაყრილი ნაგავი	38
4.4.1.6	საბანკო ტრანზაქციები	38
4.4.1.7	სხვა დეკლარაციები	39
4.4.2	ადგილზე დათვალიერება	39
4.4.2.1	ცხოვრების სტილის შემოწმება	39
4.4.2.2	ბიზნესის შემოწმება	40
4.4.3	ინტერვიუები	40
4.4.3.1	ექსპერტები, მოწმეები	40
4.4.3.2	თანამდებობის პირი, ოჯახის წევრი	40
4.4.4	სავალდებულო ზომები სხვა უწყებების მიერ	41
4.4.5	ექსკურსი: მონაცემები ფულის გათეთრების შესახებ	41
4.4.6	ინფორმაცია უცხოელი მხარეებისგან	42
4.5	ოჯახი, მესამე პირები	43
4.5.1	ოჯახის წევრების იდენტიფიცირება	43
4.5.2	ოჯახის წევრების აუდიტი	44
4.5.3	მესამე პირების აუდიტი	44
D.	შემოწმება: ინტერესთა შეუთავსებლობა	44
E.	საქმეების გადაცემა სხვა უფლებამოსილი ორგანოებისათვის	45
F.	პროცედურის დასრულება	46
1.	ამოქმედება	46
2.	დეკლარაციების შესწორება	46
3.	საბოლოო ანგარიში	47
4.	თანამდებობის პირის ინფორმირება	47
5.	არქივაცია	47
G.	საზოგადოების ინფორმირება და ჩართულობა	47
H.	ზედამხედველი ორგანო(ები)	49
1.	შერჩევა	49
2.	კომპეტენციები	51
3.	ადამიანური რესურსები	52
4.	ტექნოლოგია	53
5.	მონაცემთა დაცვა	54
6.	საკანონმდებლო ცვლილებები	54
	დანართი I: საცდელი კითხვარი შემოწმების პროცედურისთვის	56
	დანართი II: ფარული სიმდიდრის რეალური გამოძიებები	58
	დანართი III: პუბლიკაციები ქონების დეკლარაციებზე	59
	დანართი IV: ინტერვიუები ქვეყნის შიგნით	60

A. შეჯამება

წინასიტორია

2010 წლიდან საქართველოს გააჩნია ქონების დეკლარაციების შევსების და გამოქვეყნების სრული ელექტრონული სისტემა, რაც ფარავს 3000-ზე მეტ უფროს საჯარო მოხელეს. დღემდე, გამჟღავნებული მონაცემების უტყუარობის შემოწმება მხოლოდ საზოგადოების კრიტიკული გამოძიების საგანია. ამდენად, სახელმწიფო გეგმავს 2014 წლის ბოლომდე დაამკვიდროს ადმინისტრაციული შემოწმების მექანიზმი.

GIZ-მ წამოიწყო წინამდებარე კვლევა იმისათვის, რომ განსაზღვროს შესაფერისი მექანიზმი, კომპეტენტური სახელმწიფო ორგანო და მარეგულირებელი და ორგანიზაციული შედეგები. წინამდებარე კვლევა წარმოადგენს კანონებისა და ანგარიშების სამაგიდო მიმოხილვის და 2014 წლის მარტში ქვეყანაში 3-დღიანი ვიზიტის შედეგს.

ფინანსური დეკლარაციების მიზანი

ფინანსურ დეკლარაციებს ორმაგი მიზანი აქვს საქართველოში: გამჟღავნება ემსახურება საჯარო მოხელეების მიერ უკანონო წყაროებიდან მიღებული ფარული შემოსავლების გამოვლინებას (ფინანსური ასპექტი); იგი ასევე ემსახურება შესაძლო შეუთავსებლობების და ინტერესთა კონფლიქტის გამოვლინებას საჯარო მოხელის ფინანსურ აქტივობებსა და მის საჯარო მოვალეობებს შორის (ინტერესთა კონფლიქტის ასპექტი).

შემოწმების პროცედურა – ფინანსური ასპექტი

შემოწმების პროცედურა შედგება შემდეგი ხუთი შესაძლო ეტაპისაგან:

- წარდგენის შემოწმება (“წარადგინა თუ არა მოხელემ დეკლარაცია?”);
- ფორმალური შემოწმება (“არის თუ არა დეკლარაციის ყველა საჭირო ველი შევსებული?”);
- სარწმუნოების შემოწმება (“არის თუ არა დეკლარირებული მონაცემები არსებითად თანმიმდევრული?”) – ახალი;
- აუდიტი (“ზომ არ დამალა მოხელემ რაიმე შემოსავალი ან ქონება?”) – ახალი.

საჯარო სამსახურის ბიურო უკვე ამოწმებს დეკლარაციების (დროულად) წარდგენას. გარკვეულწილად, ის აგრეთვე ამოწმებს მონაცემების ფორმალურ სისრულეს; ამ კუთხით, არსებულ ელექტრონულ სისტემას შეუძლია უხელმძღვანელოს მოხელეს რათა მან სწორად შეიყვანოს შესაბამისი მონაცემები ყოველ სავალდებულო ველში.

სარწმუნოების შემოწმება შეიძლება მთლიანად განხორციელდეს კომპიუტერის მიერ: ყოველ წელს, კომპიუტერული პროგრამა დაიანგარიშებდა არის თუ არა დეკლარირებული ხარჯები დეკლარირებულ შემოსავალზე მაღალი. სარწმუნოების შემოწმება შეიძლება გავრცელდეს ყველა საჯარო მოხელეზე.

აუდიტის მიზანია გამოიყენოს ყველა შესაძლო საშუალება გარდა თავად დეკლარაციისა, რომ გამოავლინოს მოხელის დეკლარაციასთან დაკავშირებული ფინანსური დარღვევები. აუდიტისას ფინანსური ექსპერტი იხედება სახელმწიფო მონაცემთა ბაზებში (ქონების რეესტრი, საგადასახადო, ა.შ.). ეფექტური აუდიტი აგრეთვე საჭიროებს საბანკო მონაცემებში ჩახედვას (თანხმობის საფუძველზე), და რიგ შემთხვევებში აგრეთვე საჯარო მოხელის ფინანსების შესახებ ინფორმაციის

გამოთხოვას კერძო ორგანიზაციებიდან. დროის მომცველი პროცედურიდან გამომდინარე აუდიტის სამიზნე შეიძლება იყოს საჯარო მოხელეების მხოლოდ გარკვეული პროცენტი ყოველწლიურად (მაგალითად 5-10%). შერჩევის კრიტერიუმებია: დასაბუთებული ინდივიდუალური საჩივრები (მათ შორის ანონიმურები); მედიის რეპორტაჟები; შემთხვევითი ლატარეა; და წითელი დროშები (მათ შორის სარწმუნოების შემოწმების წარუმატებლობა).

შემოწმების პროცედურა – ინტერესთა კონფლიქტის ასპექტი

რაც შეეხება დეკლარაციის უტყუარობას, ინტერესთა კონფლიქტის ასპექტი მეტად სარგებლობს ფინანსური შემოწმებისგან: ნებისმიერი ფარული შემოსავალი თუ ქონება, რომლიდანაც შეიძლება გამომდინარეობდეს ინტერესთა კონფლიქტი, რამდენადაც შესაძლებელია თავს იჩინოს აუდიტის პროცესში. რაც შეეხება თავად ინტერესთა კონფლიქტის რეგულაციებთან შესაბამისობას, კანონმა უნდა განსაზღვროს ზემდგომები, რომლებიც პირველ რიგში იქნებიან პასუხისმგებელი შემოწმებაზე. დამატებით, მთავარმა ზედამხედველმა ორგანომ შესაძლოა გამოააშკარაოს ნებისმიერი აშკარა დარღვევა და შეატყობინოს ზემდგომს რეაგირებისთვის.

კომპეტენტური ზედამხედველობის ორგანო

მნიშვნელოვანი ახალი უნარები და რესურსები დასჭირდება მხოლოდ აუდიტის განხორციელებას. არსებობს სამი შესაძლო ვარიანტი თუ ვინ აიღებს ამ ახალ ფუნქციას:

1. აუდიტი შევიდეს საჯარო სამსახურის ბიუროს კომპეტენციაში;
2. აუდიტთან დაკავშირებით საჯარო სამსახურის ბიურომ ითანამშრომლოს საგადასახადო ადმინისტრაციასთან;
3. მხოლოდ შემოსავლების სამსახური იყოს პასუხისმგებელი დეკლარაციების მიღებასა და შემოწმებაზე.

შესაძლო ვარიანტები	უპირატესობა	ნაკლოვანება
საჯარო სამსახურის ბიურო	ერთ ადგილას თავმოყრილი გამოსავალი; დამოუკიდებელი ორგანო; აღიქმება პატიოსან ორგანოდ, დეკლარაციებთან მიმართებაში არსებული შიდა გამოცდილება; მონაცემთა ბაზის გადაცემა არ რის საჭირო	საჭიროებს ახალ ფინანსურ ექსპერტიზას საჭიროებს კავშირს მონაცემთა ბაზებთან
საჯარო სამსახურის ბიურო + შემოსავლების სამსახური	კონტროლი და ბალანსი ორ ინსტიტუტს შორის; შემოსავლების სამსახურში უკვე არსებული ფინანსური ექსპერტიზა	საჭიროებს კოორდინაციას, ორმაგ ძალისხმევას ორ სააგენტოში, ინტერფეისი წარმოშობს ინფორმაციის დაკარგვის რისკს
შემოსავლების სამსახური	ერთ ადგილას თავმოყრილი გამოსავალი; უკვე არსებული ფინანსური ექსპერტიზა	საჭიროებს კავშირს ახალ მონაცემთა ბაზებთან და მთელი სისტემის გადაცემას; არ არის დამოუკიდებელი ორგანო

თეორიულად არის სხვა, თუმცა ნაკლებად ეფექტური შესაძლებლობებიც. ზედამხედველ ორგანოს ექნება შემდეგი ადმინისტრაციული და პრევენციული უფლებამოსილებები: დეკლარაციების შემოწმება (ფინანსური და ინტერესთა კონფლიქტის ასპექტები), მათ შორის სახელმწიფო მონაცემთა ბაზებთან წვდომა, ექსპერტის დახმარების მოთხოვნა სხვა სახელმწიფო სააგენტოებიდან, საბანკო მონაცემებზე წვდომა ინდივიდის თანხმობის საფუძველზე, ნებაყოფლობითი ინფორმაციის გამოთხოვა ნებისმიერი იურიდიული თუ ფიზიკური პირისაგან, ნებისმიერი საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის გამოყენება, ადგილზე დაკვირვება ინდივიდუალური შემოწმების მიზნით, ნიმუშების შერჩევა ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, საქმეების გადაცემა სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისათვის, და სანქციის დაწესება დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენისათვის (რაც კანონის არსებული მდგომარეობით უკვე არის გათვალისწინებული). ზედამხედველი ორგანო აგრეთვე გააგრძელებს რეკომენდაციების გაცემას და უზრუნველყოფს საზოგადოების გათვითცნობიერებას და ჩართულობას მის საქმიანობაში.

ცვლილებები რეგულირებაში

ეს პირითადად ეხება კანონს, რომელიც მოაწესრიგებს ზედამხედველ ორგანოს, რომელშიც განსაკუთრებით საჭიროა განისაზღვროს უფლებამოსილებები აუდიტის პროცესში, აგრეთვე საჯარო მოხელეების, მათი ოჯახის წევრების და დაკავშირებული მესამე პირების უფლებები.

ადამიანური და IT (ინფორმაციული ტექნოლოგიები) რესურსები

აუდიტის სასურველი მოცულობიდან გამომდინარე და საქართველოში ციფრულობის მაღალი დონის გათვალისწინებით საკმარისი იუნდა იყოს ორი სრულ განაკვეთზე მომუშავე ფინანსური ანალიტიკოსი კომპიუტერით აღჭურვილი სამუშაო ადგილებით. მონაცემთა ბაზას სავარაუდოდ დასჭირდება გარკვეული პროგრამული განახლება ავტომატიზირებული შემოწმებების განსახორციელებლად.

წინამდებარე კვლევა ეფუძნება ან ციტირებს დიდ ნაწილს 2014 წლის ევროპის საბჭოს „პრაქტიკოსის სახელმძღვანელო საჯარო მოხელეების საშემოსავლო და ქონების დეკლარაციების დამუშავებისა და ანალიზისთვის“¹-დან; თუმცა იგი მოდიფიცირებულია და მორგებულია საქართველოს თავისებურებებზე.

B. წინასიტორია

1. დეკლარაციების სისტემის არსებული მდგომარეობა საქართველოში

საქართველომ შემოიღო ფინანსური გამჟღავნების სისტემა საჯარო მოხელეებისათვის 1998 წელს.² წინსმწრები ქალაქებზე დაფუძნებული სისტემის შემდგომ 2010 წლის თბერვლიდან დეკლარაციები გახდა ელექტრონული. საჯარო სამსახურის ბიურომ დაასკანერა და გამოაქვეყნა 50 000-ზე მეტი დეკლარაცია 1998-2010 წლებში. 2010 წლიდან ყველა უფროსი ქართველი მოხელე წარადგენს ქონების დეკლარაციას ყოველწლიურად ამ მისამართზე www.declaration.gov.ge. წარმოდგენილი დეკლარაციები მყისვე აისახება იგივე ვებ გვერდზე. ამჟამად ვებგვერდი მოიცავს 60 000-ზე მეტ დეკლარაციის დოკუმენტს.

¹ შედგენილია ტილმან ჰოპეს და ვალტს კალნინსის მიერ www.coe.int/eap-corruption.

² ეს თავი იყენებს ინფორმაციას საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაკეთებული PowerPoint პრეზენტაციიდან და სხვა წყაროებიდან.

საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ (ინტერესთა შეუთავსებლობის კანონი) მე-2 და მე-14 მუხლების თანახმად დეკლარაციის წარდგენა ევალუბათ შემდეგ უფროს თანამდებობის პირებს:

- პრეზიდენტი;
- პარლამენტის წევრები;
- პრემიერ მინისტრი და მინისტრები;
- მინისტრის მოადგილეები, დეპარტამენტის და სამმართველოს უფროსები;
- ყველა დონის მოსამართლე;
- მერები, გუბერნატორები, ქალაქის საკრებულოების წევრები;
- სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული დიდი საწარმოების ხელმძღვანელები;
- სხვა თანამდებობის პირები, რომლებიც მითითებულია ინტერესთა შეუთავსებლობის კანონის მე-14 მუხლში.

ინტერესთა შეუთავსებლობის კანონის მე-4 და მე-15 მუხლების თანახმად, დეკლარაციები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას **ოჯახის** წევრების შესახებ (პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე მასთან მუდმივად მცხოვრები პირი).

დეკლარაციის ფორმა მოითხოვს **ფინანსურ ინფორმაციას** შემდეგზე (ინტერესთა შეუთავსებლობის კანონის მე-15 მუხლი):

- შემომავალი ფულის ნაკადი (“შემოსავალი”)
 - o შემოსავალი ანაზღაურებადი საქმიანობიდან (ხელფასი, ბონუსები, ა.შ.) > 0 ლარი
 - o შემოსავალი სამეწარმეო საქმიანობიდან (საზღაური, შემოსავალი, ა.შ.) > 0 ლარი
 - o მიღებული საჩუქარი > 500 ლარი ~ 300 აშშ დოლარი
 - o ხელშეკრულებები (აღებული სესხი, ა.შ.) > 1,500 ლარი ~ 2,000 აშშ დოლარი
 - o ნებისმიერი მოგება > 1,500 ლარი ~ 1,000 აშშ დოლარი
- გამავალი ფულის ნაკადი (“აქტივები”)
 - o საბანკო ანგარიშები (და ანგარიშსზე არსებული თანხა) > 0 ლარი
 - o უძრავი ქონება (სახლი, მიწა) > 0 ლარი
 - o მოძრავი ქონება (მანქანები, ძვირფასეულობა, ნახატები, ა.შ.) > 10,000 ლარი ~ 6,000 აშშ დოლარი
 - o ხელშეკრულებები (გაცემული სესხი, საჩუქარი, ა.შ.) > 1,500 ლარი ~ 2,000 აშშ დოლარი
 - o ნაღდი ფული > 4,000 ლარი ~ USD 2,500 აშშ დოლარი
 - o ნებისმიერი დანაკარგი > 1,500 აშშ დოლარის ზევით

დეკლარაციის სისტემა მაშასადამე ემსახურება ორმაგ მიზანს: ქმნის შესაძლებლობას შემოწმდეს თანამდებობის პირის **ფინანსური** მდგომარეობა (“აქვს თუ არა მას არალეგალური შემოსავალი?”) და შესაძლო **ინტერესთა კონფლიქტი** (“აქვს თუ არა მას ბიზნეს ინტერესი შეუთავსებელი მის სამსახურებრივ მოვალეობებთან?”). აღნიშნული იკვეთება კანონის შემდეგი სტრუქტურით:

- ზოგიერთი დებულება არის წმინდათ ფულის ნაკადთან დაკავშირებული და არ აქვს რაიმე მნიშვნელობა ინტერესთა კონფლიქტის დადგენის თვალსაზრისით (ნებისმიერი შენაძენი ან დანაკარგი, ნალდი ფულის ოდენობა);
- ზოგიერთი დებულება უფრო სასარგებლოა ინტერესთა კონფლიქტის შემოწმებისთვის (მაგალითად, საჩუქრები, რომლებიც, როგორც ჩანს, არ არის დეკლარირებული ფულის ნაკადის მიზნებისათვის, მაგრამ არის ინტერესთა შეუთავსებლობის მიზნებისათვის).

წარდგენის **ბოლო ვადები** შემდეგია (მუხლი 14):

- განწესებიდან 2 თვის განმავლობაში;
- ყოველწლიურად;
- თანამდებობის დატოვებიდან 2 თვის განმავლობაში.

პარლამენტის წევრობის კანდიდატებისათვის დადგენილია რეგისტრაციის განსხვავებული 7-დღიანი ვადა (საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის მუხლი 14.5). საჯარო სამსახურის ბიურო აგზავნის შეტყობინებებს ბოლო ვადის შესახებ წერილის მეშვეობით, ელექტრონული ფოსტით და მოკლექტესტური შეტყობინებებით.

პასუხისმგებლობა წარუდგენლობისთვის ან არასწორი მონაცემების წარდგენისათვის:

- დაწესებულია ჯარიმა 1,000 ლარამდე ~ 600 აშშ დოლარი დაგვიანებული წარდგენისათვის (ინტერესთა შეუთავსებლობის კანონის მე-20 მუხლი).
- დეკლარაციის წარუდგენლობა ან ყალბი მონაცემის წარდგენა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ დანაშაულს (სისხლის სამართლის კოდექსის 355-ე მუხლი), რომელიც ისჯება ჯარიმით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ან თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

ჯარიმის გადახდა ან სახდელის მოხდა არ ათავისუფლებს პირს დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან.

კომპეტენტური ორგანო ქონების დეკლარაციებისთვის ამჟამად არის საჯარო სამსახურის ბიურო (ინტერესთა შეუთავსებლობის კანონის მე-18 მუხლი). იგი უზრუნველყოფს **ცხელი ხაზის** და ონლაინ საუბრის მომსახურებას ადამიანებისთვის, ვისაც ევალება დეკლარაციის წარდგენა. 2013 წლიდან ხელმისაწვდომია შეფასების საშუალებები, რითაც საზოგადოებას ეძლევა შესაძლებლობა **მონაცემთა ბაზიდან** გააკეთოს ანალიტიკური ანგარიში. უფრო მეტიც, ელექტრონული დეკლარაციების სისტემა სრულად ინტეგრირებულია ყველა **მობილურის** პლატფორმასთან (Android, iPhone).

ელექტრონული წარდგენის, შენახვის და გამოქვეყნების შესაძლებლობამ და მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებამ დაიმსახურა საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღება და მოწონება. თუმცა, დღემდე, დეკლარაციების **შემოწმება**

შემოიფარგლება ჟურნალისტების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დაინტერესებული მოქალაქეების კრიტიკული განხილვით. ამდენად, სახელმწიფო გეგმავს 2014 წლის ბოლომდე დაამკვიდროს ადმინისტრაციული შემოწმების მექანიზმი.

2. კვლევის ფარგლები

2014 წლის თებერვალში GIZ-მ წამოიწყო კვლევა საშემოსავლო და ქონების დეკლარაციების სამომავლო შემოწმების პროცედურაზე, კერძოდ, შემდეგ კითხვებზე პასუხების გასაცემად:

- შემოწმების რომელი სისტემა არის შესაფერისი საქართველოსთვის?
- რომელმა სახელმწიფო ორგანომ უნდა განახორციელოს შემოწმება?
- როგორი უნდა იყოს პროცედურა?
- რა არის შესაძლო ტექნიკური გადაწყვეტა?
- რა დამატებითი რესურსი იქნება საჭირო (ადამიანური რესურსები, ფინანსური, ინფორმაციული ტექნოლოგიები)?
- რა საკანონმდებლოს ცვლილებები არის საჭირო?

კვლევა ეფუძნება:

- საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას;
- საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას (მაგალითად, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ვებ გვერდი);
- ინტერვიუებს დაინტერესებულ მხარეებთან 2014 წლის 12-14 მარტს განხორციელებლი ქვეყნის შიდა ვიზიტის დროს (იხ. დანართი IV).

C. შემოწმების პროცედურა: გამდიდრების ასპექტი

წინამდებარე კვლევა განიხილავს შემოწმების პროცესს როგორც ფინანსური პრესპექტივიდან ისე ინტერესთა შეუთავსებლობის პერსპექტივიდან. სწორედ ასე განმარტავს კანონი არსებითად შემოწმების ორმაგ დანიშნულებას (იხ. ნაწილი B.1. ზემოთ). ზედამხედველობის ეფექტურობისათვის აგრეთვე რეკომენდირებულია ამ ორმაგი დეკლარაციისა და შემოწმების სისტემის შენარჩუნება.

შემოწმების პროცესის გამდიდრების ასპექტისთვის მნიშვნელოვანია ორი კითხვა:

- არის თუ არა წარდგენილი მონაცემები მართალი?
- თუ არა, არის თუ არა ამის მიზეზი ფარული (არალეგალური) შემოსავალი?

ეს თავი ეფუძნება ან ციტირებს დიდ ნაწილს 2014 წლის ევროპის საბჭოს „პრაქტიკოსის სახელმძღვანელო საჯარო მოხელეების საშემოსავლო და ქონების დეკლარაციების დამუშავებისა და ანალიზისთვის“³-დან; თუმცა იგი მოდიფიცირებულია და მორგებულია საქართველოს თავისებურებებზე.

1 წარდგენის შესაბამისობის შემოწმება

³ შედგენილია ტილმან ჰოპეს და ვალტს კალნინსის მიერ, www.coe.int/eap-corruption.

1.1 მიზანი

ამ შემოწმების მიზანია დადგინდეს დადგენილ ვადაში წარადგინა თუ არა დეკლარაცია (მათი და მათი ოჯახის წევრების მონაცემებით) ყველა თანამდებობის პირმა, ვისთვისაც ეს სავალდებულოა.

1.2 ნიმუში

ეს შემოწმება უნდა განხორციელდეს ყველა თანამდებობის პირის დეკლარაციაზე.

1.3 ანალიზის ნაბიჯები

უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო სამსახურის ბიურო უკვე ახორციელებს წარდგენის შესაბამისობის შემოწმებას.

1.3.1 თანამდებობის პირთა ნუსხა

ზედამხედველმა ორგანომ⁴ უნდა შეადგინოს, აწარმოოს და მონიტორინგი გაუკეთოს ყველა იმ თანამდებობის პირის ნუსხას, ვისაც ევალება ფინანსების დეკლარირება.

ზედამხედველი ორგანო აწარმოებს ყველა კატეგორიის თანამდებობის პირთა ნუსხას, ვისაც ევალება ფინანსების დეკლარირება.

ზედამხედველი ორგანო თავად ადევნებს თვალყურს და ანახლებს იმ თანამდებობის პირთა სიას, ვისი არჩევა ან დანიშვნა და გათავისუფლება საჯაროდ გამოქვეყნდა (მათ სანიმუშო რაოდენობას მაინც). დამატებით, საჯარო სამსახურის ბიურო ინახავს მონაცემებს იმ თანამდებობის პირებზე, რომელთაც ევალებათ დეკლარირება. თუკი დარჩა სხვა თანამდებობის პირები, ზედამხედველი ორგანო დაადგენს შესაბამის სახელმწიფო სააგენტოს, რომელიც პასუხისმგებელია წარმოადგინოს სახელობითი სია ყველა თანამდებობის პირისა, ვიზუც ვრცელდება დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება. სააგენტოები, რომლებთაც აქვთ კონსოლიდირებული მონაცემები (როგორც არის საჯარო სამსახურის ბიურო, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, განყოფილება რომელიც პასუხისმგებელია სახელფასო უწყისების წარმოებაზე, ა.შ.), უფრო პრაქტიკული გამოსავალია ვიდრე დაკავშირება ურიცხვ ცაკლეულ სახელმწიფო უწყებასთან (თითოეული სააგენტო, რომელშიც დასაქმებულია საჯარო მოხელე, თითოეული სასამართლო, ა.შ.). მოთხოვნა გასაგები უნდა იყოს, რომ უზრუნვეყოფილ იქნას იმ თანამდებობის პირთა ჩართვა, ვინც დაიწყო ან დაასრულა სამსახური წლის განმავლობაში.

ამ ნუსხათა სისრულე შესაძლოა საჭიროებდეს შემოწმებას ორი მიზეზის გამო:

- თანამდებობის პირმა შეიძლება თავი დააღწიოს დეკლარირების ვალდებულებას თუკი შეძლებს აირიდოს საკუთარი თავის სიაში შეყვანა, ან შეძლოს მისი სიიდან ამოღება;
- საზოგადოების აღქმა შესაძლოა იყოს უარყოფითი, თუკი სიები იქნება არასწორი და არ იქნება არანაირი მექანიზმი, რომ ზედამხედველმა ორგანომ გადაამოწმოს სანიმუშო სიები.

⁴ ზედამხედველი ორგანოს არჩევაზე იხილეთ ქვემოთ, თავი H.1.

თუმცა, თუკი მონაცემთა ხარისხი იქნება საიმედო და თანამდებობის პირთა ნუსხა იქნება ზუსტი, აღარ იქნება ასეთი შემოწმების საჭიროება.

თუკი შემოწმება საჭირო გახდება, ეს შეიძლება განხორციელდეს სიის ნიმუშზე (მაგალითად, ყოველწლიურად თანამდებობის პირთა სრული სიის 1/3-ის ნაწილზე), სხვათა შორის, შემდეგი წყაროების გამოყენებით::

- მითითებული რაოდენობის შედარებით კანონმდებლობაში მითითებული თანამდებობრივი პოზიციების რაოდენობასთან;
- სახელმწიფო უწყების ვებ გვერძე მითითებული რაოდენობის შედარებით წარმოდგენილ თანამდებობის პირთა სრულ რაოდენობასთან; (მაგალითად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო);
- სახელმწიფო დაწესებულების ვებ გვერძე მითითებული სახელების შედარებით სიაში მითითებულ სახელებთან;
- წინა წლების სიების შედარებით მიმდინარე წლის სიასთან;
- ნებისმიერი სხვა ინფორმაცია (პრესის ანგარიში, ა.შ.).

თუკი აღმოჩნდა უზუსტობები, უნდა არსებობდეს მათი მყარი (და შეძლებისამებრ დადასტურებული) ახსნა განმარტება.

ფიქტიური მაგალითი:
იუსტიციის უმაღლესი საბჭო წარადგენს 2012 წელს დასაქმებული მოსამართლეების სიას, ჯამური რაოდენობით 643 მოსამართლე. თუმცა, ვებ გვერძე არსებული ინფორმაცია მიუთითებს 650 მოსამართლეზე 2012 წელს. შესაძლო ახსნა შეიძლება იყოს: ვებ გვერდი მოძველებულია; შვიდი მოსამართლე, რომელიც შევიდა 650 მოსამართლის სიაში, მხოლოდ დროებით არიან მივლინებულნი მათი ამჟამინდელი პროკურორის თანამდებობიდან (უნდა გადამოწმდეს, რომ ისინი მითითებულნი არიან პროკურორების სიაში); ან შვიდი მოსამართლე, რომლებიც ტოვებენ სამსახურს 2012 წელს შეცდომით გამოტოვებულ იქნენ სიიდან.

1.3.2 ოჯახის წევრების დამატება

ამ ეტაპზე ოჯახის წევრების დამატება მონაცემთა ბაზაში არ არის საჭირო: მათ არ ევალებათ ინფორმაციის წარდგენა. თუმცა, ინფორმაცია მათ შესახებ მნიშვნელოვანია აუდიტისთვის (იხ. 4.5 ქვემოთ).

1.3.3 შემოწმება

პროცედურა:

იმის შემდგომ, რაც წარდგენილი დეკლარაციები შეიტანება მონაცემთა ბაზაში, ზედამხედველი ორგანო განახლებული რეესტრიდან ადგენს ყველა შესაბამისობაში არმყოფი თანამდებობის პირის სიას. შესაბამისობაში არმყოფი თანამდებობის პირთა სია შეიძლება დაიდოს ონლაინ. ამდენად, საზოგადოება შეძლებს ნახოს ვინ წარადგინა დეკლარაცია დროულად და ვინ არა (თუკი ეს თავისთავად არ არის შესამჩნევი ონლაინ მონაცემთა ბაზიდან). გამოქვეყნება წარმოადგენს მოტივაციას თანამდებობის პირებისათვის, რომ იყვნენ კანონმორჩილები. საჭიროა გაკეთდეს დათქმა იმის შესახებ, რომ შესაძლოა არსებობდეს ლეგიტიმური მიზეზები დეკლარაციის წარუდგენლობისათვის, მაგალითად ავადმყოფობა ან თანამდებობის პირის გარდაცვალება.

შესაბამისობა:

მხოლოდ დეკლარაციის ფორმები, რომლებიც შეიცავს მონაცემებს შემოსავლების ველში და რომლებიც ხელმოწერილია/ელექტრონულად ავტორიზებულია, უნდა ჩაითვალოს ვადაში წარდგენილად. ყოველწლიური დეკლარაცია რომელშიც მხოლოდ თანამდებობის პირის სახელია მითითებული, სულ მცირე შემოსავლების შესახებ ინფორმაციის გარეშე, შინაარსის ნაკლებობის გამო უტოლდება დეკლარაციის წარუდგენლობას. უხელფასო შვებულებაში მყოფმა თანამდებობის პირმა კი, შემოსავლების ველში - შესაბამის შემთხვევაში - უნდა მიუთითოს „ნული“. თანამდებობაზე ახლადგანწესებისას დეკლარაციის შემთხვევაში თეორიულად შესაძლებელია, რომ თითქმის ყველა ველი იყოს ცარიელი. პირი შესაძლოა ცხოვრობდა მარტო და არ გააჩნია არაფერი თანამდებობაზე განწესებამდე. მიუხედავად ამისა, იგი სავარაუდოდ არსებობდა რაღაც საშუალებებით, თუნდაც ეს იყოს სოციალური დახმარება ან რჩენა ოჯახის წევრების მიერ.

1.4 შემდგომი ნაბიჯები და სანქციები

დეკლარაციის წარუდგენლობისთვის ინტერესთა შეუთავსებლობის კანონის მე-20 მუხლით დაწესებულია ჯარიმა ოდენობით 1,000 ლარი ~ 600 აშშ დოლარი. ზედამხედველი ორგანო პირადად უნდა დაუკავშირდეს თანამდებობის პირს სანქციის შესახებ და მისცეს განცხადების წარმოდგენის შესაძლებლობა.

ზედამხედველმა ორგანომ უნდა აცნობოს თანამდებობის პირის ზემდგომს ნებისმიერი დარღვევის შესახებ, რათა ამ უკანასკნელმა გადაწყვიტოს თანამდებობის პირის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების საკითხი (იმ შემთხვევაში თუ იგი საჯარო მოხელეა). ზედამხედველმა ორგანომ უნდა მოსთხოვოს ზემდგომ პირს აცნობოს ზედამხედველ ორგანოს დისციპლინური წარმოების შედეგის შესახებ, რათა ზედამხედველმა ორგანომ ასახოს აღნიშნული ფაქტი მის წლიურ სტატისტიკურ ანგარიშში (იხ. თავი G ქვემოთ).

როდესაც თანამდებობის პირს არ ყავს იერარქიული მნიშვნელობით ზემდგომი (როგორც კანონმდებელია), ეთიკის კომისიამ, ან ფართო საზოგადოებამ (კენჭისყრის გზით) უნდა დააწესოს სანქციები თანამდებობის პირის მიმართ.

დამატებით, კიდევ ერთი შესაძლებლობა, რომ რეაგირება მოხდეს დეკლარაციის წარუდგენლობაზე, შეიძლება იყოს (და წესით უნდა იყოს) შესაბამისი თანამდებობის პირის და მისი ოჯახის სრული აუდიტი, რომელიც - დეკლარაციის არარსებობის

შემთხვევაში - შეაგროვებს ინფორმაციას თანამდებობის პირის ყველა შემოსავალზე და სიმდიდრეზე და შეუფარდებს ამ ორს ერთმანეთს. ზედამხედველი ორგანო გამოსცემს შედეგს დეკლარაციის ექვივალენტის სახით, იმის მითითებით, რომ მონაცემები ეფუძნება აუდიტს და არა თავად თანამდებობის პირის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას.

2 ფორმალური შემოწმება

2.1 მიზანი

ფორმალური შემოწმების მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ დეკლარაციის ყველა შესაბამისი ველი შევსებულია სათანადო კატეგორიის მონაცემით. საქართველოში, ეს უმეტესწილად ემთხვევა დეკლარაციის მონაცემების შეყვანას ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში.

2.2 ნიმუში

ეს შემოწმება უნდა განხორციელდეს ყველა თანამდებობის პირის დეკლარაციაზე. ეს ეხება ყველა ყოველწლიურ და საწყის/საბოლოო დეკლარაციებს.

2.3 ანალიზის ნაბიჯები

იდეალურ შემთხვევაში ელექტრონულმა სისტემამ უნდა უარყოს დეკლარაციის ჩაბარება სანამ ის არ იქნება სწორად შევსებული. ეს განსაკუთრებით შემდეგ საკითხებს უნდა შეეხოს:

- სჩანს თუ არა რომ ყველა შესაბამისი ველი არის შევსებული?
- შეიცავს თუ არა თითოეული შესაბამისი ველი ყველა საჭირო მონაცემს?

მაგალითად, როდესაც სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით მითითებული უნდა იყოს სარეგისტრაციო ან სერიის ნომერი; ან, როდესაც სარეგისტრაციო ნომერი უნდა შეიცავდეს ციფრების გარკვეულ რაოდენობას.

- ესადაგება თუ არა მონაცემი შესაბამის ველს?

მაგალითად: არ უნდა იყოს შეყვანილი აღწერითი მონაცემი რიცხობრივ ველში და პირიქით (წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება შეუსაბამო მონაცემი).

მონაცემთა ელექტრონული შეყვანის სისტემით, შეყვანისას სისტემამ უნდა შეძლოს მომხმარებლის გაფრთხილება და დაკვალიანება თუკი მონაცემი არ შეესაბამება სათანადო ველს, ან პირდაპირ უნდა უარყოს არასწორი მონაცემი.

შინაარსის საბაზისო შემოწმება არ ეძიება არანაირ არსებით საკითხს, როგორც არის მაგალითად საკითხი იმის თაობაზე, არის თუ არა გაცხადებული ფინანსური თანხები ამკარად გადაჭარბებული ან შემცირებული, მაშინაც კი როდესაც ეს შეიძლება იყოს მარტივი კალმის შეცდომის შედეგი.

3 სარწმუნოების შემოწმება

3.1 მიზანი

სარწმუნოების შემოწმება ფოკუსირებას ახდენს დეკლარაციის შინაარსზე, იყენებს რა შემოწმების წყაროდ არსებულ და წინა დეკლარაციებს. მისი მიზანია ფარული უკანონო შემოსავლების მაჩვენებლების აღმოჩენა.

3.2 ნიმუში

ეს შემოწმება შეიძლება განხორციელდეს ავტომატურად კომპიუტერის მიერ ყველა თანამდებობის პირის დეკლარაციაზე და ყველა დაკავშირებულ ოჯახის წევრზე. საწყის ეტაპზე ეს შეიძლება დამოკიდებული იყოს მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის ხარისხზე, ამ ინფორმაციის სრულად ავტომატურ რეჟიმში მათემატიკურ ალგორითმად გადაყვანის შესაძლებლობაზე. შესაძლოა საჭირო გახდეს დეკლარაციის ფორმის ადაპტირება, რომ იძლეოდეს ამგვარი ავტომატური კალკულაციის შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში, დასაწყისში, სარწმუნოების შემოწმება სავარაუდოდ განხორციელდება მხოლოდ დეკლარაციების სანიმუშო რაოდენობაზე.

3.3 სათანადო ფინანსური ტერმინოლოგია

საერთაშორისო ლიტერატურის უმრავლესობაში თანამდებობის პირების ფინანსურ დეკლარაციას ქვია „**საშემოსავლო და ქონების დეკლარაცია**“, ან უბრალოდ, „**ქონების დეკლარაცია**“. შესაბამისად, პრაქტიკოსები ხშირად აღნიშნავენ, რომ ფინანსური დეკლარაციების მიზანი არის შეადაროს შემოსავალი (ხშირ შემთხვევაში საჯარო მოხელის შედარებით მოკრძალებული ანაზღაურება) აქტივებთან (დიდი სახლი, ძვირადღირებული მანქანა კორუმპირებული თანამდებობის პირის შემთხვევაში, ა.შ.). მაგრამ, ეს ტერმინოლოგია არ არის სწორი, და სინამდვილეში დამაბნეველია: „**საშემოსავლო და ქონების დეკლარაცია**“ უყურებს თანამდებობის პირის **ნაღდი ფულისა და აქტივების** შემომავალ და გამავალ ნაკადს.

რაც შეეხება **შემომავალი ფულის** ნაკადს, დეკლარაცია არ ეხება შემოსავალს, ვინაიდან ფულის ნაკადი აღებული სესხის ხარჯზე არ არის შემოსავალი, არამედ მხოლოდ ვალია:

- შემოსავალი: შემომავალი ფულის ნაკადი, რომელიც აგრეთვე ზრდის პირის სიმდიდრეს (მაგალითად, ხელფასი: „**ფული, რომელიც მე შემიძლია დავიტოვო**“);
- შემომავალი ფულის ნაკადი: ზრდის პირის ლიკვიდურობას, რაც არ ნიშნავს, რომ აუცილებლად იზრდება პირის სიმდიდრე (მაგალითად, აღებული სესხი: „**ფული, რომელიც მე არ შემიძლია დავიტოვო**“).

შემომავალი		
წყარო	შემოსავალი	ფულის ნაკადი
ხელფასი	კი	კი
მომსახურების საზღაური	კი	კი
ქირა	კი	კი
საავტორო ჰონორარი	კი	კი
საჩუქარი	კი	კი

მემკვიდრეობა	კი	კი
აღებული სესხი	არა	კი

ეკონომიკურად, საჩუქარი და მემკვიდრეობა არის შემოსავალი, რადგან ისინი ზრდიან პირის სიმდიდრეს („ფული, რომელიც შემიძლია დავიტოვო“). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო მიზნებისთვის პერსპექტივა შესაძლოა სხვაგვარი იყოს; ამ კუთხით, ბევრ ქვეყანაში, საჩუქარი და მემკვიდრეობა არ ჩაითვლება შემოსავალში (რადგან ისინი არ არის მიღებული სამუშაოს თუ მომსახურების სანაცვლოდ), არამედ დაექვემდებარება განსხვავებულ საგადასახადო რეჟიმს. თუმცა, ქონების დეკლარაციისთვის, გადამწყვეტია ეკონომიკური პერსპექტივა, რომლის მიხედვით საჩუქარი და მემკვიდრეობა არის შემოსავალი იმისდა მიუხედავად თუ როგორ უდგება ამ საკითხს საგადასახადო სამართალი.

გასავლის მხრივ, ძირითადი აქცენტი არ უნდა იყოს აქტივებზე, როგორც ასეთი, არამედ, ყველა ძირითად გზაზე, რომლითაც იხარჯება თანამდებობის პირის ფული. ამდენად, ხშირად, მასში შედის არა-აქტივებთან დაკავშირებული ტრანზაქციები (როგორც არის ძვირადღირებული შვებულება) და ისინი შესაძლოა წარმოადგენდეს დიდ დანახარჯს. მეორეს მხრივ, არის აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს გასავალს, მაგალითად ფული, რომელიც შემნახველ ანგარიშზეა დადებული არის აქტივი, მაგრამ არ არის გასავალი. ამდენად, ყველაზე შესაფერისი, საკმარისად ფართო გამოთქმა არის მარტივად „გამავალი ფულის ნაკადი“:

- აქტივები: სიმდიდრის ზრდა ხარჯის ან გამავალი ფულის ნაკადის ხარჯზე, ან როგორც შემოსავლის დაგროვება;
- გასავალი/გამავალი ფულის ნაკადი: ამცირებს პირის ლიკვიდურობას, რასაც უცილობლივ არ მოყვება სანაცვლო შემოსავალი შესაბამისი აქტივების აკუმულირების ფორმით.

გამავალი		
დანიშნულება	აქტივი	ფულის ნაკადი
ნაყიდი აქტივები	კი	კი
დანაზოგები	კი	კი
გაცემული სესხები	კი	კი
თანამდებობის პირის მიერ გაცემული საჩუქარი	არა	კი
შვებულება	არა	კი
გადახდილი გადასახადი ან ალიმენტი შვილებისათვის	არა	კი

მკაცრად რომ ვთქვათ, **დანაზოგი** არ იქნება **გამავალი ფულის ნაკადი**, ვინაიდან იგი რჩება თანამდებობის პირთან, რაღა თქმა უნდა, როდესაც ის ინახება ნაღდი ფულის სახით. თუმცა, თანამდებობის პირის გადასაწყვეტია როგორ „დააბანდებს“ მის შემომავალ ფულის ნაკადს, და შესაბამისად ითვლება გამავალი ფულის ნაკადის ანგარიშში.

მსგავსად, თანამდებობის პირის **ნატურით** შემოსავალი ან ხარჯი, მკაცრად რომ ვთქვათ, არ არის ფულის ნაკადი, არამედ „აქტივის“ ნაკადია; შესაბამისად, სრული სიზუსტისთვის უნდა ვისაუბროთ „შემომავალი და გამავალი ფულისა და აქტივების ნაკადზე“, რომლებიც მოწმდება ფინანსური დეკლარაციებით. შემდგომი ტექსტი, გამარტივების მიზნით, უმეტესწილად მოიხსენიებს ფულის ნაკადს.

3.4 დეკლარაციის სახეობები

საქართველოში არსებობს დეკლარაციის შემდეგი სამი სახეობა:

- **ყოველწლიური** დეკლარაციები: ეს დეკლარაციები იძლევა საშუალებას განხორციელდეს თანამდებობის დაკავების დროს დაგროვილი სიკეთის მონიტორინგი.
- **საწყისი-დეკლარაციები** (თანამდებობაზე განწესებისას): ეს დეკლარაციები ადგენენ საწყის მაჩვენებელს, რომლიდანაც აითვლება სიმდიდრის ზრდა განწესების პერიოდში.
- **საბოლოო-დეკლარაციები** (თანამდებობის დატოვებისას ან მის შემდგომ).

როგორ უნდა შემოწმდეს ყოველი დეკლარაციის სარწმუნოება განმარტებულია შემდგომ ქვეთავებში.

3.5 ანალიზის ნაბიჯები

ამ სავარჯიშოს საბოლოო მიზანი არის შეადაროს ერთმანეთს შემომავალი ფულის ნაკადი - როგორც დეკლარირებულია - გამავალი ფულის ნაკადის სრულ ოდნობასთან. ამისათვის, ხორციელდება შემდეგი კალკულაცია:

1. ჯამდება ყველა შემომავალი ფულის ნაკადი.
2. ჯამდება ყველა გამავალი ფულის ნაკადი.
3. მოწმდება შემომავალი და გამავალი ფულის ნაკადების თანაფარდობა.

ეს კალკულაცია მთლიანად შეიძლება განხორციელდეს ავტომატიზირებული პროგრამული უზრუნველყოფით.

ეს პროცედურა სავალდებულოა **ყოველწლიური** და **საბოლოო** დეკლარაციებისთვის. **საწყისი** დეკლარაციების სარწმუნოების შემოწმებისთვის შესაძლებლობები შეზღუდულია: თანამდებობის პირს შესაძლოა ჰქონდეს დიდი სახლი და მანქანა, რომელიც არ შეესაბამება მის არსებულ შემოსავალს. თუმცა, ეს აქტივები შესაძლოა იყოს მისი წინა წლების შემოსავლების შედეგი. წინამორბედი საგადასახადო დეკლარაციების შემოწმების გარეშე თანამდებობის პირს შესაძლოა არასდროს დაევალოს განმარტოს მისი შემოსავალი და აქტივების მდგომარეობა თანამდებობაზე განწესებამდე არსებული პერიოდისთვის. საყისი დეკლარაციები ძირითადად ადგენენ **საწყის მაჩვენებელს** და შედარების წერტილს შემდგომ, თანამდებობაზე განწესების პერიოდის, დეკლარაციებისათვის.

მხოლოდ აუდიტის პერიოდის დროის ფულის ნაკადები ჩაითვლება ანგარიშში:

საფინანსო წელი 2012 (ათასი ლარი – “TGEL”)	
შემომავალი ფულის ნაკადი	19

- ხელფასი - ლატარიის მოგება 2011, გადახდილი 2012-ში	1
გამავალი ფულის ნაკადი - ოქროს საათი - სატრანსპორტო საშუალება (გადახდილი 2011)	5 49
შემომავალი ფულის ნაკადის ნამატი	15

ლატარიის მოგებას ადგილი ქონდა 2011-ში, თუმცა ფულის ნაკადს თანამდებობის პირის სასარგებლოდ ადგილი ქონდა 2012-ში; ამდენად, ის უნდა იქნას ჩართული განტოლებაში. მეორეს მხრივ, აქტივი შესაძლოა კვლავ იყოს თანამდებობის პირის მფლობელობაში 2012-ში, მაგრამ თუკი გამავალ ფულის ნაკადს ადგილი ჰქონდა 2011-ში (მაგალითად, აქტივი შეძენილ იქნა 2011-ში), ის არ იქნება განტოლების ნაწილი 2012 ფინანსური წლისათვის.

პროგრამული უზრუნველყოფით შესაძლოა ყოველ ჯერზე ჩაირთოს მონაცემები წინა წლიდან, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ავტომატური კალკულაციისთვის. აქართველოში ეს ნიშნავს, რომ შესაძლებელია დაბრუნება 2010 წლის მონაცემებამდე, როდესაც პირველად იქნა შემოტანილი მანქანის მიერ წაკითხვადი ციფრული მონაცემები (გამოსახულებითი ფაილები, როგორც არის pdf-სკანირებული დოკუმენტები, რადგან 2010 წლამდე არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფდა მანქანის მიერ წაკითხვად მონაცემებს).

უხეშად რომ ვთქვათ, თუკი განტოლებაში ლეგალური შემომავალი ფულის ნაკადი არ ემთხვევა გამავალ ფულის ნაკადს, ჩნდება არალეგალური შემოსავლების პირველი ეჭვი:

საფინანსო წელი 2012 (TGEL)	
შემომავალი ფულის ნაკადი	20
გამავალი ფულის ნაკადი	50
აუხსნელი გამავალი ფულის ნაკადი	30

ზემო მაგალითში, „გონიერი“ თანამდებობის პირი შეეცდებოდა სხვა ტრანზაქციით ნულამდე დაეყვანა აუხსნელი გამავალი ფულის ნაკადი. ეს შესაძლოა ყოფილიყო, მაგალითად, წლის განმავლობაში ფულის განაღდება 30 ათასი ლარის ოდენობით, იმისათვის რომ გაზრდილიყო შემომავალი ფულის ნაკადი „დანაზოგის“ არიდებით. სრული აუდიტის მიზანი იქნებოდა გამოავლინოს მცდელობები, როდესაც არის ეჭვი, რომ რეალურად დანაზოგი შესაძლოა გატანილ იქნა დაფარვის მიზნით, მაგალითად, თუკი დანაზოგი გატანილ იქნა იმ დროს, რომელიც ბუნებრივად არ ემთხვევა ხარჯის გაწევის დროს. ამ შემთხვევაში, წარმატებული აუდიტისთვის საჭირო იქნება მონაცემები ბანკებიდან, ან, თუკი თანხა აღემატება გარკვეულ ზღვარს - ფინანსური დაზვერვის უწყებებიდან. თუმცა, „გონიერი“ თანამდებობის პირი საერთოდ აირიდებდა არადეკლარირებული ფულის შესვლას საბანკო სისტემაში.

თუკი დამატებით ან ალტერნატიულად მხოლოდ შემომავალი ან გამავალი მხარე ჩანს არადამაჯერებელი (მაგალითად, საშუალო შემოსავლის მქონე ადამიანი ხარჯავს მისი წლიური შემოსავლის ნახევარს ოქროს საათში), ესეც აგრეთვე ბადებს არალეგალური შემოსავლის პირველ ეჭვს, და საჭიროებს შემდგომ სრულ აუდიტს.

ამ სავარჯიშოს მიზანი არ არის, და არც შეიძლება იყოს, პირის სრული წლიური ლეგალური ფულის შემოდინების შედარება მის მთლიან გამავალ ფულის ნაკადთან, ვინაიდან გასავლის მხარეს, მხოლოდ ნაწილობრივი ინფორმაცია მოიპოვება აქტივების შეძენის შესახებ, და მხოლოდ იმ ტრანზაქციებზე, რაც აღემატება დეკლარაციით დადგენილ ზღვრულ ოდენობას. ამდენად, ანილიზი უყურებს და ადარებს მხოლოდ პირის მთლიან წლიურ ლეგალურ შემომავალ ფულის ნაკადს მის ყველაზე დიდ ხარჯიან ტრანზაქციებთან, როგორც არის აქტივების შეძენა; ყოველდღიური დანახარჯები („ბოთლი რძე“), რა თქმა უნდა, არ აისახება დეკლარაციაში. შედეგად, დეკლარირების მთლიანი სისტემის მიზანი არის გამოავლინოს თანამდებობის პირები, რომელთაც „განსაკუთრებული“ დონის გაურკვეველი სიმდიდრე აქვთ, მაგრამ არა ისინი, ვისაც არალეგალური შემოსავლების პატარა პროცენტული მაჩვენებელი აქვთ. „არა-განსაკუთრებული“ შემთხვევის მაგალითი არის შემდეგი:

საფინანსო წელი 2012 (TGEL)	
შემომავალი ფულის ნაკადი	20
გამავალი ფულის ნაკადი (მაგალითად, მსხვილი შესყიდვები)	20
აუხსნელი (დეკლარირებული) ხარჯი	0
შესაძლო დანახარჯები დეკლარაციით დადგენილი ზღვრული ოდენობის ქვემოთ	10
რეალური აუხსნელი ხარჯი	10

შემომავალი და გამავალი ფულის ნაკადის სწორი კალკულაციისთვის (აგრეთვე შემოწმების აუდიტის ეტაპის ფარგლებში), მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოებები.

3.5.1 ნაბიჯი 1: შემომავალი ფულის ნაკადი

ფინანსური წლის განმავლობაში წარმოშობილი მთლიანი შემომავალი ფულის ნაკადის კალკულაცია ხდება ყველა იმ პოზიციის შეჯამებით, რაც ექვემდებარება დეკლარირებას შემოსავლის მხარეს (ტექნიკური შემოსავალი, როგორც არის ხელფასი, საზღაური, იჯარა, საავტორო ჰონორარი; შემოსავალი ეკონომიკური გაგებით - მაგრამ არა მაინცდამაინც საგადასახადო გაგებით - როგორც არის საჩუქრები, მოგებები, სადაზღვეო გადახდები, კომპენსაცია მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო ზიანისათვის; არა როგორც შემოსავალი, მაგრამ მხოლოდ როგორც შემომავალი ფულის ნაკადი - მიღებული სესხები).

„აუხსნელი დანახარჯის“ თუ გამავალი ფულის ნაკადის ზემოხსენებული კალკულაციიდან გამომდინარე კორუმპირებული თანამდებობის პირის ინტერესშია ხელოვნურად გაბეროს მისი ლეგალური შემომავალი ფულის ნაკადი იმისათვის, რომ ახსნას მისი დიდი მოცულობის დანახარჯები ან ცხოვრების წესი. ამდენად, შემოწმება ფულის შემოდინების მხრივ ძირითადად უნდა ემსახურებოდეს იმის გამოკვლევას, არსებობს თუ არა სინამდვილეში ის პოზიციები, რომლებიც დეკლარირებულ იქნა როგორც ლეგალური შემომავალი ფულის ნაკადი და არის თუ არა მათი ოდენობა მითითებული სწორად.

თუმცა არსებობს „კორუმპირებულ“ თანამდებობის პირთა მეორე ჯგუფი, რომლებიც ფლობენ ან იღებენ მოგებას ლეგალური (ან თუნდაც არალეგალური) ბიზნესიდან,

იმისდა მიუხედავად, რომ ეს დაუშვებელია საჯარო მოხელეების მარეგულირებელი კანონმდებლობით. ასეთი თანამდებობის პირები მომართულნი იქნებიან **დამალონ** მათი შემომავალი ფულის ნაკადის ნაწილი.

სწორი ციფრის ამოცნობა - დეკლარირების წარმდგენის მხრიდან თუ ზედამხედველი ორგანოს მხრიდან - არ არის ყოველთვის ადვილი:

3.5.1.1 გადასახადები

უნდა შეეძლოს თუ არა დეკლარაციას წარმდგენებს შემოსავლებიდან გამოქვითონ გადასახადები? დეკლარაციები ეხება რეალური ფულის ნაკადებს - იმ რეალური შემომავალი ფულის ნაკადს, რომელიც დეკლარაციის წარმდგენს შეუძლია განკარგოს გამავალი ფულის ნაკადის სახით. ამდენად, ნებისმიერი გადასახადი თუ სოციალური გამოქვითვები ხელფასიდან აგრეთვე გამოაკლდება დეკლარაციას. მაგალითად, ხელფასები ყოველთვის უნდა მითითებულ იქნას ნეტო ოდენობით (იმის შემდგომ რაც გამოაკლდება შესაძლო საშემოსავლო გადასახადი თუ სხვა სოციალური სადაზღვევო გამოქვითვა). მსგავსად, ნებისმიერი შემოსავალი იჯარიდან თუ მომსახურების ხელშეკრულებიდან უნდა იქნას დეკლარირებული დღ-ს გარეშე. ამისდა მიუხედავად, ნებისმიერი დაბრუნებული დღგ სახელმწიფო ხაზინიდან ჩაითვლება როგორც შემოსავალი. ალტერნატიულად, თუკი მითითებული იქნება გროს ხელფასი, გადახდილი გადასახადები უნდა აისახოს გასავლის მხარეს.

3.5.1.2 დაკავშირებული ხაჯრები ან ცვეთა

მაგალითი: უნდა შეეძლოს თუ არა დეკლარაციის წარმდგენებს გამოქვითონ იჯარის საგანზე დაკავშირებული ყოველწლიური ცვეთა ან ხარჯები დაკავშირებული იჯარასთან? ისევ და ისევ, ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია ეხება ფულის დინებას. დეკლარაციის წარმდგენს შეუძლია სრულად განკარგოს იჯარის ქირა მიუხედავად იჯარის ობიექტის ცვეთისა. თუმცა, ნებისმიერი მნიშვნელოვანი რეალური დანახარჯი იჯარის საგანზე, როგორც წესი, უნდა აისახოს გასავლის მხარეს (თუკი > 1,500 ლარს „გამავალი ფულის ნაკადის“ ქვეშ).

3.5.1.3 სესხები

რაც შეეხება **სესხებს**, არსებობს შემომავალი ფულის ორი თვალთახედვა:

განმცხადებელი (დეკლარაციის წარმდგენი) არის	სესხები, როგორც ფულის შემოდინება
კრედიტორი	დაბრუნებული სესხი
დებიტორი	მიღებული სესხი

როგორც ადრე აღინიშნა, სესხი ტექნიკურად არ წარმოადგენს შემოსავალს, არამედ არის მხოლოდ ფულის დინება თანამდებობის პირისათვის. თუმცა, სრულიად გამართლებულია სესხების დეკლარაციის მოთხოვნა („ხელშეკრულებები > 3,000 ლარის“ ქვეშ), ვინაიდან სესხი ხშირად გამოიყენება როგორც „გამართლება“ არადეკლარირებული წყაროებიდან შემომავალი ფულის ნაკადის შესანიღბად:

საფინანსო წელი 2012 (TGEL)

(არალეგალური არადეკლარირებული შემოსავალი)	(20)
მოჩვენებით აღებული სესხი როგორც შენიღბვა	20
აქტივების ზრდა არალეგალური შემოსავლიდან	20
აუხსნელი ხარჯი (დეკლარაციის მიხედვით)	0
<i>აუხსნელი ხარჯი (რეალობაში)</i>	20

როდესაც კეთილსინდისიერი თანამდებობის პირი იღებს სესხს, მისი ნაშთი გამოიყურება შემდეგნაირად:

საფინანსო წელი 2012 (TGEL)	
მიღებული სესხი	20
დანაზოგის ზრდა (ან სხვა დანახარჯები)	20
აუხსნელი ხარჯი	0

სესხიდან შემომავალი ფულის ნაკადი აისახება ექვივალენტურად ბალანსის „აქტივების“ მხარეს ფულის (დანაზოგის), აქტივების ან სხვა ხარჯების შესაბამისი ზრდით. უნდა აღინიშნოს, რომ სარწმუნოების შემოწმების პროცესში სავარაუდოდ შეუძლებელი იქნება იმის შემოწმება არის თუ არა მიღებული სესხი ნამდვილი თუ მოჩვენებითი.

ფულის ნაკადის პრესპექტივა ნათელყოფს, რომ სესხებთან დაკავშირებით რელევანტურია არა სესხის ხელშეკრულების გაფორმების დრო/წელი, არამედ სესხის გადახდის დრო, ანუ ფაქტობრივი ფულის დინება.

3.5.1.4 აქტივების გარდაქმნა წინა წლიდან

ნებისმიერი შემდგომი მაგალითი არის აქტივების გარდაქმნა:

- მიწის ნაკვეთი იყიდება ნაღდი ფულის სანაცვლოდ;
- დანაზოგები გარდაიქმნება ფასიან ქალაქდებად;
- ლიმუზინი იცვლება სატვირთო მანქანაზე.

აქტივების გარდაქმნა არის ფულის შემომავალი და გამავალი ნაკადების ტრანზაქცია: თუკი თანამდებობის პირმა შეიძინა მანქანა 2010 წელს (კანონიერი შემოსავლიდან) და გაყიდა 2012 წელს 10 ათას ლარად, ეს ასახვას ჰპოვებს შემოსავლის და გასავლის მხარეს შემდეგნაირად:

შემოსავალი 2012 (TGEL)		გასავალი 2012 (TGEL)	
შემოსავალი მანქანის გაყიდვიდან	10	ნაღდი ფული (ახალი დანაზოგები)	10

თუკი თანამდებობის პირი გადაცვლის მანქანას 8 ათასი ლარის ღირებულების მოტოციკლზე ეს შემდეგნაირად აისახება შემოსავლის და გასავლის მხარეს:

შემოსავალი 2012 (TGEL)	გასავალი 2012 (TGEL)
------------------------	----------------------

მანქანის განკარგვა	8	მოტოციკლის შექმნა	8
--------------------	---	-------------------	---

არ აქვს მნიშვნელობა თანამდებობის პირმა აქტივი შეიძინა თუ მიიღო უფასოდ (საჩუქარი ან მემკვიდრეობა): წინა წელს მიღებული მანქანის გაყიდვა წარმოშობს ფულის შემოდინებას მიმდინარე საფინანსო წელს. მსგავსად, არ აქვს მნიშვნელობა გაყიდვის თუ არა თანამდებობის პირი ქონებას უფრო მაღალ (ან დაბალ) ფასად: გაყიდვის რეალური ფასი არის წარმოშობილი შემოსავალი (ამგვარი გარიგების აქტივის მხარის შესახებ იხილეთ აგრეთვე ქვემოთ 3.5.2.5) - ეს ანგარიშში მიეთითება როგორც „ხელშეკრულება, რომლის საგნის ღირებულება > 3 000 ლარს“ ან „სხვა შემოსავალი, რომლის ღირებულება > 1500 ლარს“).

იგივე წესი მოქმედებს ფულად დანაზოგზე, რომელიც აგრეთვე არის აქტივი. ნებისმიერი ფულადი სახსრები წარმოშობილი წლების განმავლობაში მიმდინარე საფინანსო წლამდე (მათ შორის თანამდებობაზე განწესებამდე პერიოდში), შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც შემოსავალი ნებისმიერ შემდგომ პერიოდში. მაგალითად, თანამდებობის პირთა უმრავლესობა თანამდებობაზე განწესების დროისთვის მოვა გარკვეული ფულით (მათ შორის ანაზრები და დანაზოგები). დანაზოგების პოზიტიური ბალანსი დეკლარაციის პერიოდის დასაწყისისთვის წარმოადგენს შემომავალი ფულის ნაკადის ნაწილს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას დანახარჯებისთვის თანამდებობაზე განწესების მომდევნო (პირველი) წლის განმავლობაში, მაგალითად მანქანის ყიდვის მიზნით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოზიტიური სასტარტო ბალანსი როგორც ფულის შემოდინება განმარტავს როგორ შეძლო თანამდებობის პირმა გარკვეული ხარჯის გაწევა. ამდენად, ნებისმიერი ფული დარჩენილი წინა წლიდან შეიძლება ჩათვალოს როგორც (დამატებითი) შემომავალი ფულის ნაკადი ნებისმიერ შემდგომ წელიწადში თუკი ის კვლავ ხელმისაწვდომია. მაგალითად, თანამდებობის პირს, რომელიც განწესდა 2009 წლის 1 იანვარს შეიძლება 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჰქონდეს 40 ათასი ლარი ნაღდი ფულის სახით; 2009 წელს მან გამოიმუშავა 20 ათასი ლარი, როგორც დეკლარირებული შემოსავალი, და 2009 წლის ბოლოსთვის ქონდა 50 ათასის ღირებულების დეკლარირებული დანახარჯი (40 ათასი ლარი მანქანისთვის და 10 ათასი ლარი სხვა ხარჯის სახით). შედეგად მივიღებთ შემდეგ სურათს:

საფინანსო წელი 2009 (TGEL)	
შემომავალი ფულის ნაკადი (წარმოშობილი 2009-ში)	20
+ ნაღდი ფული 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	40
გამავალი ფულის ნაკადი (მანქანა და სხვა)	50
ნამატი	10

ამგვარად, თანამდებობის პირმა დახარჯა 10 ათასი ლარი არადეკლარირებული ხარჯის სახით, რომელიც - თუკი მისი დეკლარაცია სარწმუნოა - შეიძლება ჩვეულებრივ იყოს დღიური დანახარჯები, როგორც არის საკვები, ქირა, ტანსაცმელი, ა.შ., რაც არ საჭიროებს დეკლარირებას. თუკი არ მივუთითებდით ფულს წინა წლიდან, გამოჩნდებოდა, თითქოს თანამდებობის პირს ქონდა აუხსნელი შემოსავალი, რაც არასწორი იქნებოდა:

საფინანსო წელი 2009 (TGEL)

შემომავალი ფულის ნაკადი (წარმოშობილი 2009-ში)	20
გამავალი ფულის ნაკადი (მანქანა და სხვა)	50
დანაკლისი (აუხსნელი ხარჯი)	30

ერთ საქმეში, რუმინეთის პატიოსნების სააგენტოში, ფულადი პოზიცია წინა წლიდან შეცდომით არ იყო მითითებული როგორც შემომავალი ფულის ნაკადი შემდგომი წლისათვის. სიმდიდრის შეფასების კომისიამ (არსებული სააპელაციო სასამართლოსთან), რომელმაც განიხილა პატიოსნების სააგენტოს საქმე, შესაბამისად უარყო სააგენტოს კვლევის შედეგები აუხსნელ შემოსავალზე:

საფინანსო წლები 2008-211 (T€)	
შემომავალი ფულის ნაკადი	459
გამავალი ფულის ნაკადი	590
აუხსნელი ხარჯი	131

თანამდებობის პირმა, რომელსაც შეეხებოდა საქმე (სენატორი), საბანკო ამონაწერების მეშვეობით შეძლო დაემტკიცებინა, რომ მან გაანაღდა 138 ათასი ლარი სწორედ თანამდებობაზე განწესებამდე 2008 წელს. ეს ნაღდი ფული იყო შემომავალი ფულის ნაკადი, რომელიც ამართლებდა მის ყველა დანახარჯს:

საფინანსო წლები 2008-211 (T€)	
შემომავალი ფულის ნაკადი	459
+ ფული თანამდებობაზე განწესებამდე	138
გამავალი ფულის ნაკადი	590
აუხსნელი ხარჯი	-7

3.5.2 ნაბიჯი 2: გამავალი ფულის ნაკადი

(დეკლარირებული) ფულის და აქტივების გადინება შეიძლება დაანგარიშდეს მარტივად ყველა იმ გზის მითითებით, რა გზითაც შეიძლებოდა საფინანსო წლის განმავლობაში (ან სხვა შესაბამის პერიოდში) გადინებულიყო ფული დეკლარირებული გზით: აქტივების შეძენა, გაცემული სესხები, და ფინანსური საშუალებების დაგროვება.

საფინანსო წელი (TGEL)	
უმრავი ქონება	50
მომრავი ქონება	0
ფასიანი ქაღალდები	10
სესხები (გაცემული/უკან გადახდილი თანამდებობის პირის მიერ)	0
სხვა ქონება	0
დანაზოგები	10
ჯამი	70

შენიშვნა: ზემოხსენებულ მაგალითში, დეკლარაციაში გამავალი ფულის ნაკადის დაანგარიშებისთვის აღბეჭდილია მხოლოდ აქტივები, რომლებიც შეძენილ იქნა, ან დანაზოგები, რომლებიც დაგროვდა საფინანსო წლის განმავლობაში. კალკულაცია იყენებს ღირებულებებს, რომლებიც მოწოდებული იქნა დეკლარაციის წარმდგენის მიერ სარწმუნოების შემოწმების სტადიაზე.

ფულის შემოდინების საპირისპიროდ, კორუმპირებული თანამდებობის პირის ინტერესშია ხელოვნურად შეამციროს მისი დანახარჯების ღირებულება, რათა თანაფარდობაში მოიყვანოს მისი ხარჯები მის კანონიერ შემოსავალთან:

საფინანსო წელი 2012 (TGEL)	
შემომავალი ფულის ნაკადი	20
გამავალი ფულის ნაკადი	50
აუხსნელი ხარჯი	30

3.5.2.1 სესხები

თავისთავად, ეს ყოველივე სწორია აგრეთვე **სესხებისათვის**. გაცემული სესხი, თუკი ის გარკვეული მოცულობისაა, მიაჩნდება თანამდებობის პირის შეძლებულობაზე. ამდენად, კორუმპირებული თანამდებობის პირი შეეცდება შეამციროს ან დამალოს გაცემული სესხები რათა თავიდან აირიდოს კითხვები თუ საიდან აქვს სესხად გაცემული ფული.

საფინანსო წელი 2012 (TGEL)	
(არალეგალური არადეკლარირებული შემოსავალი)	(20)
(გაცემული სესხი, არადეკლარირებული)	(20)
აუხსნელი ხარჯი (დეკლარაციის მიხედვით)	0

3.5.2.2 ნაღდი ფული

ნაღდი ფული მოიცავს ქაღალდის ფულს ისევე როგორც დანაზოგებს და ანაბრებს ბანკში. როდესაც თანამდებობის პირს ევალუება განაცხადოს მისი მთლიანი ნაღდი ფულის ნაშთის შესახებ ყოველწლიურად, ნაღდი ფული გადადებული საფინანსო წლის განმავლობაში მარტივად დაანგარიშდება შემდეგნაირად:

საფინანსო წელი 2009 (TGEL)	
ნაღდი ფული 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	40
ნაღდი ფული 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	25
ნაღდი ფული გადადებული 2009 წელს	15

ამ კონტექსტში უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერი ნაღდი ფული, რომელიც არ გამოყენებულა მიმდინარე წელს, შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც შემომავალი ფულის ნაკადი მომდევნო წელს (იხილეთ 3.5.1.4 ზემოთ).

3.5.2.3 საჩუქრები, მემკვიდრეობა, მოულოდნელი სიმდიდრე

ნებისმიერი უფასოდ მიღებული აქტივი აისახება განტოლების ორივე მხარეს: როგორც შემოსავალი მიღებისას და - (დანაზოგის სახით) შენახვისა და გადადების შემთხვევაში - აგრეთვე აისახება გასავლის მხარეს, როგორც წლის ბოლო ნაშთის ნაწილი. ფული „დახარჯული“ დანაზოგის ან აქტივად შენახული საჩუქრის სახით სიანმდვილეში არ წარმოადგენს „გასავალს“, ვინაიდან ის არ ტოვებს თანამდებობის პირის განკარგვის სფეროს; თუმცა, ის „გაედინება“ იმ გაგებით, რომ პერიოდის დასასრულს ის აისახება პოზიტიურ ბალანსში. მაგალითად:

შემოსავალი ფულის ნაკადი 2012 (TGEL)	
ხელფასი	20
საჩუქარი (მიღებული სატრანსპორტო საშუალება – “შემოსავალი”)	5
ჯამური შემოსავალი	25

გამავალი ფულის ნაკადი 2012 (TGEL)	
დანაზოგები	10
საჩუქარი (მიღებული სატრანსპორტო საშუალება – “აქტივი”)	5
ჯამური გასავალი (სიმდიდრის დაგროვება)	15

თუკი უფასოდ მიღებული სატრანსპორტო საშუალება აისახებოდა მხოლოდ შემოსავლის მხარეს, ეს გამოიწვევდა გამოსახულების დამახინჯებას. უფრო მეტიც, თუკი სატრანსპორტო საშუალება 2013 წელს გაიყიდებოდა ფულის სანაცვლოდ, მიღებული თანხა აგრეთვე აისახებოდა როგორც შემოსავალი და შესაბამისად ორმაგად ჩაითვლებოდა: 2012 წელს - როგორც საჩუქარი, და 2013 წელს - როგორც გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი.

3.5.2.4 სწორი ღირებულებების დადგენა

ბალანსს აქვს ფუნქცია ასახოს პირის თუ საწარმოს აქტივების ზუსტი მდგომარეობა ნებისმიერ მოცემულ მომენტში. ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მიზანი სხვაგვარია: ის ეხება ფულის დინებას (იხილეთ 3.3 ზემოთ) - რა ფულადი სახსრები აქვს ადამიანს მის განკარგულებაში, და როგორ იქნა ის დახარჯული? ამდენად, ნებისმიერი შეძენილი საქონლისთვის გადამწყვეტია არა საბაზრო ღირებულება, არამედ (ნამდვილი) გადახდილი ფასი.

2012 წლის მარტში, თანამდებობის პირი, რომელსაც ოფიციალური დეკლარირებული შემოსავალი აქვს 12 ათასი ლარი, ხარჯავს 20 ათას ლარს აქციებზე. წლის ბოლოს, როდესაც დეკლარირების დრო დგება, აქციების ღირებულება იკლებს 10 ათას ლარამდე. თუკი ანგარიშის საფუძველად ავიღებდით აქციების წლის ბოლო ღირებულებას, ეს შემოსავლების და ხაჯრების ბალანსის დამახინჯებულ სურათს მოგვცემდა, მაშინ როდესაც სიანმდვილეში თანამდებობის პირს მოეთხოვება განმარტოს საიდან მიიღო მან დამატებითი 8 ათასი ლარი რომ შეეძინა 20 ათასი ლარის ღირებულების აქციები (ფულის დინების პერსპექტივა).

თუმცა, საბაზრო ღირებულება ყოველთვის მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ შემოწმდეს შესყიდვის ღირებულების სარწმუნოება:

თანამდებობის პირი დეკლარაციაში მიუთითებს 10 ათასი ლარის ღირებულების ახალი მანქანის შეძენას. მანქანის ღირებულება კატალოგის მიხედვით კი არის 25 ათასი ლარი. პირველი შეხედვით, ეს იწვევს ეჭვს, რომ თანამდებობის პირი ცდილობს შეამციროს მისი ხარჯის ოდენობა რათა დამალოს, რომ მას აქვს (არალეგალური?) შემოსავალი, რითაც მან გადაიხადა დამატებითი 15 ათასი ლარი ნამდვილი ფასის, 25 ათასის შესავსებად.

ნებისმიერი უფასოდ მიღებული საქონლისთვის (**საჩუქარი, მემკვიდრეობა, მოულოდნელი სიმდიდრე**) გამოიყენება საბაზრო ღირებულებები. რამდენადაც თანამდებობის პირი იღებს აქტვის საჩუქრად, არ აქვს მნიშვნელობა რა ღირებულება იქნება გამოყენებული - ვინაიდან უფასოდ მიღებული აქტივი აისახება განტოლების ორივე მხარეს (იხილეთ 3.5.2.3 ზემოთ). ზემოთმითითებულ საჩუქრად მიღებული მანქანის მაგალითში, იმისდა მიუხედავად თუ რა იქნება სჩუქრის ღირებულება, შემოსავალსა და გასავალს შორის სხვაობა ყოველთვის იქნება 10 ათასი ლარი. აქედან გამომდინარე, ზედამხედველ ორგანოს შეუძლია შეფასებით დაადგინოს **საბაზრო ღირებულება**, საგადასახადო ორგანოების მიერ გამოყენებული საბაზრო ღირებულების გადმოღებით, ზოგიერთ საქონელზე არსებული ბაზრის მიმოხილვის გადამოწმებით (სატრანსპორტო საშუალებები, უძრავი ქონება, აქციები), ან უბრალოდ მითითებული ღირებულების მიღებით (თუკი ის არ არის აშკარად შეუსაბამო). ყველა შემთხვევაში, თანამდებობის პირი ვერ შეეცდება ახსნას რაიმე დანახარჯი ჯერ კიდევ გაუყიდავი საჩუქრის მეშვეობით. საბაზრო ღირებულების **მინიმუმების თარიღი** არის ყოველთვის საქონლის მიღების საფინანსო წელი. ყოველწლიურად ახალი ღირებულების შეყვანას დეკლარაციაში არ აქვს აზრი; სინამდვილეში, ასეთმა ცვალებადმა დეკლარაციამ შეიძლება გამოიწვიოს თანამდებობის პირის ფულის ნაკადის მდგომარეობის დამახინჯებული სურათი (იხილეთ ზემოთ აქციების ცვალებადი ღირებულების მაგალითი).

თუმცა, როგორც კი საქონელი გაიყვანა **ფულის სანაცვლოდ** (რაც ნიშნავს შემოსავალს - იხილეთ 3.5.1.4 ზემოთ), მნიშვნელოვანია დადგინდეს აქტივის სწორი ღირებულება. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია აქტივის გარდაქმნის **ამჟამინდელი ღირებულება**.

3.5.2.5 აქტივების გარდაქმნა იმავე წლის განმავლობაში

წინა წელს შეძენილი აქტივის გარდაქმნა ყოველთვის ითვლება შემომავალ ფულის ნაკადში (იხილეთ 3.5.1.4 ზემოთ). თუკი აქტივი შეძენილი და გარდაქმნილი იქნა ერთიდაიმავე საფინანსო წლის განმავლობაში, გარდაქმნის ეს ტრანზაქცია არ ითვლება ფულის შემოდინება/გადინებაში იმ შემთხვევაში, თუკი აქტივი გაიყიდა იმავე ფასად რა ფასადაც იქნა იგი შეძენილი. ამ შემთხვევაში, მხოლოდ ტრანსფორმირების პროდუქტის ღირებულება აისახება გასავლის შეჯამებაში. მაგრამ, თუკი თავდაპირველი აქტივი გაიყიდა უფრო ძვირად ვიდრე იგი იქნა შეძენილი, ეს ჩაითვლება შემომავალი ფულის ნაკადში (იხილეთ 3.5.1.4 ზემოთ).

3.5.3 ნაბიჯი 3: შემოსავლის და ხარჯის თანაფარდობა

მე-3 ნაბიჯი არის საბოლოო სარწმუნოების შემოწმება. მისი მიზანია გამოავლინოს აუხსნელი შემოსავალი ან გასავალი თანამდებობის პირის დეკლარირებულ შემოსავალსა და ცხოვრების სტილს შორის სხვაობის გამოთვლით, რაც იზომება მის

მიერ აქტივების შეძენით, გაცემული სესხებით, სხვა დანახარჯებით და დაგროვილი ფინანსური სახსრებით:

საფინანსო წელი 2012 (TGEL)	
შემომავალი ფულის ნაკადი	20
გამავალი ფულის ნაკადი	50
აუხსნელი ხარჯი	30

ზემოთმითითებული კალკულაცია არ იღებს მხედველობაში დღიური არსებობისთვის საჭირო ხარჯებს, როგორც არის ქირა, საკვები, ტანსაცმელი, ტრანსპორტი, ა.შ. ამ პოზიციის ჩათვლა იწვევს შემოსავალსა და აქტივებს შორის სხვაობის გაზრდას:

შემომავალი ფულის ნაკადი	20
გამავალი ფულის ნაკადი	50
მინიმალური საარსებო ხარჯი	3
აუხსნელი ხარჯი	33

ელექტრონული წარდგენის სისტემას შეუძლია ავტომატურად განახორციელოს ზემოთმითითებული კალკულაცია და თითოეული კატეგორიის თანამდებობის პირისთვის გამოიყენოს დღიური არსებობის მინიმალური ფიქსირებული ოდენობა.

დღიური საარსებო მინიმუმი აგრეთვე მნიშვნელოვანია შემდგომი სიტუაციისთვის, რომელიც პირველი შეხედვით შესაძლოა დაბალანსებულად მოგვეჩვენოს:

საფინანსო წელი 2012 (TGEL)	
შემომავალი ფულის ნაკადი	20
გამავალი ფულის ნაკადი	20
აუხსნელი ხარჯი	0

მიუხედავად ამისა, დეკლარაცია არადამაჯერებელია: უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხარჯის მხარეს მხოლოდ დეკლარირების ზღვარს ზემოთ არსებული ხარჯები არის მითითებული, მაგრამ არა დღიური საარსებო ხარჯები. ზედმახედველმა ორგანომ უნდა დაადგინოს გარკვეული სტანდარტული ოდენობა (სავარაუდოდ სტატისტიკის ან სოციალური სააგენტოების მეშვეობით), რომელიც დაემატება ზემოთმითითებულ ანგარიშს:

საფინანსო წელი 2012 (TGEL)	
შემომავალი ფულის ნაკადი	20
გამავალი ფულის ნაკადი	20
<i>წლიური საარსებო მინიმუმი*</i>	<i>10</i>
აუხსნელი დანახარჯი	10

* თანამდებობის პირსა და მასზე ფინანსურად დამოკიდებული პირებისათვის

მაშინაც კი, როდესაც საფინანსო წლის ბოლოსთვის არ არის ექვი ფარულ შემოსავალზე, მაინც შეიძლება იყოს აშკარა შემთხვევები, რომლებიც საჭიროებს შემდგომ აუდიტს, მაგალითად:

წლის დასაწყისში შეძენილ იქნა ღირებული აქტივი, მაგრამ ამ დროისთვის წარმოშობილი შემოსავალი არსებული ფინანსური სახსრებითურთ ვერ დაფარავდა ამ შენაძენს; შემოსავალი წარმოიშვა მხოლოდ წლის დასასრულს. ამ შემთხვევაში, გონივრული იქნება შემოწმდეს, რომ გადახდა შენაძენისთვის მოხდა მხოლოდ იმის შემდგომ, რაც თანამდებობის პირმა განკარგა საჭირო ფინანსური სახსრები.

მოწინავე ავტომატიზირებული კალკულაცია მხედველობაში მიიღებდა ამგვარ მოცემულობასაც.

ნებისმიერი მნიშვნელოვანი შეუსაბამობა არ იწვევს მონაცემის შესწორებას, არამედ სრულ აუდიტს (იხილეთ თავი 4.2.1 ქვემოთ).

ხანდახან, სარწმუნოების შემოწმება ავლენს გარეგნულად მარტივ კალმის შეცდომას. მაგალითად, მონაცემი შეიძლება აღმოჩნდეს გაბერილი უნებლიე შეცდომის გამო:

დეკლარაციის ფორმა აჩვენებს სადაზღვევო ანაზღაურებას „10,000,000 ლარის“ ოდენობით, მაგრამ თანამდებობის პირს არ ქონია მსგავსი ღირებულების არაფერი.

ან: დეკლარაციის ფორმა მიუთითებს უძრავ ქონებაზე ღირებულებით „1 ლარი“.

ეს შეიძლება გამოიყურებოდეს როგორც აშკარა კალმის შეცდომა. თუმცა, ეს აგრეთვე შეიძლება იყოს შემოსავლის გამიზნულად გაბერვის, ან ქონების ღირებულების გამიზნულად შემცირების მცდელობა. ამიტომ, ზედამხედველი ორგანო უმაღლვე კი არ უნდა დაუკავშირდეს თანამდებობის პირს, არამედ უნდა წამოიწყოს სრული აუდიტი.

3.5.4 თანაფარდობა ოჯახის წევრების მონაცემებთან

ოჯახის წევრების მონაცემების შეყვანის მიზეზი არის საფრთხე, რომ შემოსავალი ან გასავალი შეიძლება დამალულ იქნას მათი სახელით. აქედან გამომდინარე, დაანგარიშება უნდა მოხდეს ყოველი ოჯახის წევრისათვის, და აგრეთვე ოჯახის წევრთა სრული წრისათვის, როგორც ერთი კონსოლიდირებული ფულის ნაკადის ობიექტისთვის. როდესაც ოჯახის წევრებს აქვთ მნიშვნელოვანი შემოსავალი ან დანახარჯი, ამან ჩვეულებრივ უნდა გამოიწვიოს წითელი შუქის ანთება და სიტუაციის უფრო ყურადღებით შესწავლა.

3.6 საწყისი დეკლარაციები

საწყისი დეკლარაციების შესამოწმებლად შესაძლებლობები შეზღუდულია. თუკი წინა საგადასახადო დეკლარაციები არ იქნა შემოწმებული, თანამდებობის პირს შესაძლოა არასდროს მოეთხოვოს განმარტოს მისი შემოსავალი ან ქონებრივი მდგომარეობა თანამდებობაზე განწესებამდე არსებული წლებისათვის:

საწყისი დეკლარაციის ძირითადი მიზანია:

- დაადგინოს საწყის მაჩვენებელი და შედარების წერტილი შემდგომ, თანამდებობაზე განწესების პერიოდის, დეკლარაციებისათვის (ამ დეკლარაციის ჩვეული სუსტი წერტილი არის შესაძლებლობა დეკლარირებულ იქნას არარსებული აქტივები, ე.ი. ფულის დანაზოგები ან ყალბი მოვალეობი).

დეკლარაციის სისტემის მიხედვით, საწყისი მაჩვენებელი შეიძლება დადგინდეს თანამდებობაზე განწესების მომენტისათვის, ან იმ საფინანსო წლის დასაწყისისთვის, რომელშიც მოხდა თანამდებობაზე განწესება;

- ამგვარად, აცილებულ იქნას შესაძლებლობა, რომ თანამდებობის პირმა მოგვიანებით მიაწეროს მის მიერ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში გაწეული ხარჯები თანამდებობაზე განწესებამდე პერიოდს (ვიანიდან ეს წინააღმდეგობაში მოვიდოდა თანამდებობაზე განწესების წინა წლის დეკლარაციასთან).

განწესების შემდგომ პირველი მორიგი დეკლარაციისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: თანამდებობის პირის თანამდებობაზე განწესების დროისთვის არსებული ნებისმიერი ფულის რეზერვი (ნაღდი ფული, ანაზარი, დანაზოგი) უნდა დაემატოს მის პირველ შემოსავალს თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში; ის ასახავს რა „მოყვება თან“ თანამდებობის პირს განწესებისას. შემოსავალი, შესაბამისად, დაინაგარიშება შემდეგნაირად:

თანამდებობაზე განწესება 1 ივლისი 2008	
განწესებისას დეკლარირებული ფული	40
დეკლარირებული შემოსავლის ნაკადი 2008 წლის 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე	200
ჯამი	240

ჯამურად 240 არის მისი შემოსავალი, რომელიც უნდა შედარდეს აქტივებთან/ხარჯებთან 2008 წლის პერიოდში. თუმცადა, შემდგომი წლებისთვის, მხოლოდ შესაბამისი წლიური შემოსავალი იქნება რელევანტური. ნებისმიერი ფულის გამოყენება წინა წლიდან გამოიწვევს შესაბამის შემცირებას წლევიანდელი წლის აქტივების „ფულის“ პოზიციაში, და შესაბამისად უკვე აღრიცხულია.

თუკი საწყისი მაჩვენებელი ასახავს საფინანსო წლის დასაწყისს, რომელშიც მოხდა განწესება, დაანგარიშება მოხდება შემდეგნაირად:

თანამდებობაზე განწესება 1 ივლისი 2008	
2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დეკლარირებული ფული	40
2008 წელს დეკლარირებული ფულის შემოდინება	300
ჯამი	340

3.7 საბოლოო დეკლარაციები

საბოლოო დეკლარაციები გაცილებით მარტივია ვიდრე საწყისი დეკლარაციები. როგორც წესი, თანამდებობის დატოვების დროისთვის, არსებობს ინფორმაცია თანამდებობის პირის წინა დეკლარაციებიდან, რომელთაგან თითოეული შეიძლება შემოწმდეს როგორც წლიური დეკლარაცია (იხილეთ 3.5 ზემოთ): თითოეული წლის შემოსავალი შეიძლება შედარებულ იქნას შესაბამისი წლის აქტივებთან/ხარჯთან. დამატებით, შესაძლებელია შედარდეს თანამდებობის დატოვების მომენტისთვის

აქტივების საერთო ნაშთი თანამდებობაზე ყოფნის ვადის განმავლობაში მიღებულ საერთო შემოსავალთან:

თანამდებობის დატოვება 31 დეკემბერი 2012	
2012 წლის ბოლოს აგმავალი ფულის ნაკადის ნაშთი	450

ამ ნაშთს უნდა გამოვაკლოთ (არა-ფულადი) აქტივები, რომლებიც თანამდებობის პირს უკვე ქონდა თანამდებობაზე განწესების დროისათვის (2009 წლის 1 იანვარი), ვინაიდან ეს არ არის შემოსავალი, რომელიც წარმოიშვა თანამდებობის პერიოდში:

თანამდებობის დატოვება 31 დეკემბერი 2012 (ხარჯი)	
2008 წელს შეძენილი სატრანსპორტო საშუალება	50
2009 წელს შეძენილი უძრავი ქონება	200
2010 წელს შეძენილი ფასიანი ქაღალდები	34
2011 წელს შეძენილი ოქროს საათი	20
2009-2012 წლებში გადადებული ფული	130
2009-2012 დღიური საარსებო მინიმუმი	16
ჯამი	400

აქტივების ეს ჯამი შეიძლება აიხსნას ჯამური (და ყოველწლიური) შემოსავლით თანამდებობაზე განწესების მომენტიდან:

თანამდებობის დატოვება 31 დეკემბერი 2012 (შემოსავალი)	
თანამდებობაზე განწესებამდე გამოყენებული ფული *	40
2009 წელს დეკლარირებული შემომავალი ფულის ნაკადი	90
2010 წელს დეკლარირებული შემომავალი ფულის ნაკადი	90
2011 წელს დეკლარირებული შემომავალი ფულის ნაკადი	90
2012 წელს დეკლარირებული შემომავალი ფულის ნაკადი	90
ჯამი	400

* თანამდებობის პირს შეუძლია გამოიყენოს 2008 წლის ბოლოსთვის არსებული ფული (მათ შორის ანაზარი და დანაზოგი) როგორც შემომავალი ფულის ნაკადი ნებისმიერ დროს შემდგომ პერიოდში (იხილეთ 3.5.1.4 ზემოთ).

3.8 დასკვნა: დამაჯერებლობის ფორმულა

ზემოთმითითებული 1-3 ნაბიჯების შედეგად ვიღებთ ქვემოთმითითებულ ფორმულას - წლიური დეკლარაციის სისტემისთვის შესაბამისი „პერიოდი“ არის საფინანსო წელი, რომლის შესახებაც არის საუბარი; ნებისმიერი სხვა ფორმის დეკლარაციისთვის (ზრდის, საბოლოო, საგამონაკლისო დეკლარაცია), შესაბამისი პერიოდი არის

პერიოდის დასაწყისის დეკლარაციიდან (როგორც წესი საწყისი დეკლარაცია) უკანასკნელ დეკლარაციამდე:

შემომავალი ფულის ნაკადი პერიოდის განმავლობაში	გამავალი ფულის ნაკადი პერიოდის განმავლობაში
ფული (მათ შორის დანაზოგი, ანაბარი) პერიოდის დასაწყისში > 0 ლარი	ფული (მათ შორის დანაზოგი, ანაბარი) პერიოდის დასასრულს > 0 ლარი
+ შემოსავალი (სამეწარმეო საქმიანობა) > 0 ლარი	+ ახალი უძრავი ქონება
+ შემოსავალი (ანაზღაურებადი საქმიანობა) > 0 ლარი	+ ახალი მოძრავი ქონება
+ საჩუქრები > 500 ლარი	საჩუქრები > 500 ლარი, რომელიც რჩება თანამდებობის პირთან პერიოდის დასასრულს
+ სხვა ხელშეკრულებები > 3,000 ლარი (მაგალითად სესხები)	+ ახალი ფასიანი ქაღალდები
+ სხვა შემომავალი ფულის ნაკადი > 1,500 ლარი (მაგალითად სამკვიდრო)	+ სხვა გამავალი ფულის ნაკადი > 1,500 ლარი
	+ პერიოდის განმავლობაში დღიური საარსებო მინიმუმი
= შემოდინების ჯამი	= გადინების ჯამი

თუკი შემოდინების ჯამი < გადინების ჯამზე → არადეკლარირებული შემოსავლის ეჭვი

4 აუდიტი

4.1 მიზანი

სრული აუდიტი მიზნად ისახავს ყველა შესაძლო ხერხის გამოყენებას თავად დეკლარაციების მიღმა, რომ გამოავლინოს თანამდებობის პირის ნებისმიერი ფინანსური დარღვევა დაკავშირებული მის დეკლარაციასთან. შესაბამისად, აუდიტის საბოლოო ობიექტი არ არის თავად დეკლარაცია, არამედ დეკლარაციის წარმდგენი თანამდებობის პირი და მის ტრანზაქციებში ჩართული ნებისმიერი პირი. აუდიტის მიზანია დარწმუნება, რომ თანამდებობის პირი სარგებლობს მხოლოდ მისი კანონიერი შემოსავლით. აღსანიშნავია, რომ აუდიტის განმავლობაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება აგრეთვე მის ოჯახის წევრებზე, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა კანონი. ოჯახი როგორც წესი ერთიანად წევს ხარჯებსა და შემოსავალს. ისინი ხშირად ფუნქციონირებენ როგორც ნამდვილი ეკონომიკური ერთეული უფრო მეტად, ვიდრე ცალკე აღებული თანამდებობის პირი.

4.2 ამოქმედება

4.2.1 დარღვევები წინა ნაბიჯებში

თუკი თანამდებობის პირი ეფექტურად არ თანამშრომლობს დეკლარაციის წარდგენაზე, არ შეავსებს მას სათანადოდ ან თუკი დეკლარაცია არ იქნება სათანადოდ

სარწმუნო, ამან, როგორც წესი, უნდა გამოიწვიოს დეკლარაციის/თანამდებობის პირის სრული აუდიტი.

4.2.2 წითელი დროშები

თანამდებობის პირები, რომელთაც არალეგალურად შეიძინეს ქონება, ხშირად იყენებენ ტრანაქციების შემდეგ ფორმებს რომ ლეგალიზება გაუკეთონ მათი ფინანსების არაკანონიერ ნაწილს:

შემომავალი ფულის ნაკადი:

- უჩვეულო/დიდი მოცულობის სესხები;
- ყალბი სესხის ან ჩუქების ხელშეკრულება, დაუმოწმებელი ნოტარიუსთან, მხოლოდ მიღების ხელწერილით;
- განცხადებები წარსულში მიღებული ფიქტიური სესხის/შეწირულობის დასამტკიცებლად, რომლებიც ნოტარიუსთან ხელმოწერილი და დამოწმებული იქნა ამჟამად;
- ოჯახურ ღონისძიებებზე მიღებული დიდი ფულადი საჩუქრები (ქორწილი/ნათლობა), რაც დადასტურებულია ყალბი ჩვენებით;
- ძალზედ მომგებიანი ბიზნესები, მცირე ან არარსებული რეგისტრაციით ან/და რევიზიით (ფერმერობა, ა.შ.);
- ქონების გაყიდვიდან მიღებული მნიშვნელოვანი მოგება (განსაკუთრებით, თუკი ქონების განსხვავება მოხდა მისი შეძენის ღირებულებაზე გაცილებით მეტ ფასად, ან თუკი ქონების გაცხადებული ღირებულება სხვაგვარად საეჭვოა);
- მოულოდნელი სიმდიდრე (ნებისმიერი შემოსავალი რაიმე სანაცვლოს გარეშე: კაზინოში ან აზარტულ თანაშემში მოგებული თანხა, საჩუქარი, სამკვიდრო, ა.შ.);
- ოჯახის წევრების მნიშვნელოვანი შემოსავალი, განსაკუთრებით თუკი ეს არის ბიზნესიდან, რომლის გადამოწმება შეუძლებელი ან რთულად შესაძლებელია;
- ქონებრივი გარიგებები ოჯახის წევრებთან;
- ერთი დეკლარაციიდან მეორე დეკლარაციამდე შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდა (რაც არ არის გამოწვეული თანამდებობის პირის სამსახურებრივი დაწინაურებით).

გამავალი ფულის ნაკადი:

- ოჯახის წევრები ფლობენ მნიშვნელოვან ქონებას, განსაკუთრებით თუკი სახეზეა მნიშვნელოვანი მერყეობები;
- საბაზრო პირობებზე დაბლა შეძენილი ქონება;
- ქონებრივი გარიგებები ოჯახის წევრებთან (სავარაუდოდ მხოლოდ თვალთმაქცური);
- გაგრძელებული მნიშვნელოვანი სესხები, როდესაც სესხების ფაქტის დადგენა რთული შესამოწმებელია;
- ერთი დეკლარაციიდან მეორე დეკლარაციამდე აქტივების მნიშვნელოვანი ზრდა;

- მნიშვნელოვანი ფულადი დანაზოგები (განსაკუთრებით ქვეყნებში, სადაც საბანკო სისტემა ზოგადად ითვლება უსაფრთხოდ);
- თანამდებობის პირის მიერ გაკეთებული უჩვეულოდ დიდი შეწირულობები.

სხვა:

- რთულად ასახსნელი ცარიელი ველების სიმრავლე ფორმალური შემოწმების შედეგად;
- სარწმუნოების ნაკლებობა სარწმუნოების შემოწმების შედეგად;
- დიდი მოცულობის უცხოური ტრანზაქციები, განსაკუთრებით დაკავშირებული ოფშორულ საფინანსო ცენტრებთან;
- განქორცინებას უნდა მოყვეს შემოწმება არის თუ არა ნიშანი იმისა, რომ განქორცინება წმინდა ფორმალური მიზეზებით მოხდა, დეკლარირების ვალდებულების არიდების მიზნით, მაგალითად, როდესაც წარსულში მეუღლემ უარი განაცხადა დეკლარირებაზე ან დამატებითი ინფორმაციის წარდგენაზე, ა.შ.;
- შემოსავლების და ხარჯების არადამაჯერებელი ნაშთი: მეტნაკლებად მთლიანი შემოსავალი წავიდა დეკლარირებულ ხარჯებზე, ისე რომ არ დარჩა საშუალება საჭირო დღიური დანახარჯებისთვის (საარსებო მინიმუმი);
- ფულის განმეორებადი შეტანა და გამოტანა ანაბრიდან, რომელთა მიდევნება წლების განმავლობაში რთულია, და იწვევს უმნიშვნელო ნაშთს დეკლარაციის წარდგენის დროისთვის, მაგრამ მოიცავს ფულის მნიშვნელოვანი შემომავალ და გამავალ ნაკადებს დეკლარაციებს შორის პერიოდში; ამდენად, ნაშთი საბანკო ანგარიშზე ჩანს უმნიშვნელო, მაშინ როდესაც არადეკლარირებული და შესაძლოა აღმოუჩენელი შემოსავლებისა და გასავლების ოდენობა არის დიდი;
- კორუფციული ან ეკონომიკური ხასიათის მნიშვნელოვანი დარღვევები, აღმოჩენილ თანამდებობის პირის პაუსიხმგებლობის სფეროში, მაგალითად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ;
- სპეციალური პროგრამა თანამდებობის პირის დეკლარაციაში აღმოაჩენს უჩვეულო ნიმუშებს მსგავსი დონის სხვა თანამდებობის პირებთან შედარებით.

ზედამხედველმა ორგანომ უნდა განიხილოს ნებისმიერი ზემოხსენებული შემთხვევის წითელ დროშათა სიაში შეყვანა, რაც სრული აუდიტის მიზეზი იქნება.

4.2.3 ღია და ანონიმური საჩივრები

ნებისმიერ ღია საჩივარს (ე.ი. როდესაც მომჩივანი ამჟღავნებს მის ვინაობას), რაც არ არის აშკარად თვითნებური ან არაკეთილსინდისიერი, უნდა მოყვეს სრული აუდიტი.

ანონიმურ საჩივრებს, როგორც წესი, თან დაყვება არაკეთილსინდისიერების რისკი გამიზნული ზიანის მიყენებისკენ, მაგალითად სამუშაო ადგილზე კონკურენტისათვის. თუმცა, სისხლისსამართლებრივი გამოძიებისაგან განსხვავებით, პატიოსან თანამდებობის პირის არ უნდა ეშინოდეს ფინანსური დეკლარაციის შემოწმების მიზნით აუდიტისა. ამასთან, აუდიტი შესაძლოა განხორციელდეს თანამდებობის პირის ან მისი გარემოცვის ყურადღების მიღმა; ამდენად, სრული შემოწმების შედეგად თანამდებობის პირს ძალიან მცირე, ან არანაირი ხელშეშლა არ აქვს.

კანონის აღსრულების კუთხით ანონიმური საჩივრები ხშირად ყველაზე სარგებლიანი და წარმატებული წყაროა დარღვევების გამოსავლენად. აქედან გამომდინარე, მამხილებლებზე არსებული საერთაშორისო სტანდარტებით, რეკომენდირებულია „ანონიმური შეტყობინებების შესაძლებლობა“.⁵ შესაბამისად, ანონიმური საჩივრები, რომლებიც არ არის ამკარად თვითნებური და არაკეთლსინდისიერი, უნდა იყოს სრული შემოწმების ამოქმედებელი ელემენტი. ეს რა თქმა უნდა ეხება საჩივრებს, რომლებიც დამტკიცებულია საექვოდ არასწორ დეკლარაციასთან დაკავშირებული კონკრეტული ფაქტებით.

4.2.4 სიუჟეტები

არსებობს სიუჟეტების სამი სახეობა, რომლებიც რელევანტურია დეკლარაციებისთვის:

- სიუჟეტები, რომლებიც „მხოლოდ“ დეკლარაციას ეყრდნობა და, როგორც ასეთი, წარმოაჩენენ მას არადამაჯერებლად ან „რთულად დასაჯერებლად“;
- სიუჟეტები, რომლებიც ეყრდნობა დამატებით ინფორმაციას, მათ შორის ინფორმატორებს;
- ცხოვრების სტილის გამოქვეყნება, სადაც ჩანს თანამდებობის პირის დანახარჯები.

ნათელია, რომ მეორე ტიპის სიუჟეტები, ჩვეულებრივ, უნდა გახდეს სრული აუდიტის ამოქმედებელი ელემენტი.

მაგრამ ის სიუჟეტებიც კი, რომლებიც მხოლოდ წარმოაჩენენ დეკლარაციებს რთულად დასაჯერებლად, როგორც წესი, უნდა იწვევდნენ სრულ აუდიტს: ზედამხედველი ორგანოს სანდომიანობის აღქმა იმატებს, როდესაც ის შეისწავლის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებს.

4.2.5 ინფორმაცია სხვა უფლებამოსილი ორგანოებისაგან

ზედამხედველმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ სამართალდამცავმა ან საგადასახადო (იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი განსხვავდებიან ზედამხედველი ორგანოსაგან) ორგანოებმა აცნობონ მას თანამდებობის პირის მიმართ მიმდინარე გამოძიების შესახებ (ურთიერთგაგების მემორანდუმის ან სხვა სამართლებრივი დებულების მეშვეობით). ჩვეულებრივ, სამართალდამცავმა ორგანომ ისედაც უნდა მოითხოვოს ექვიმტანილის დეკლარაცია, როგორც მტკიცებულების შესაძლო საშუალება.

ზედამხედველმა ორგანომ უნდა გააფორმოს ურთიერთგაგების მემორანდუმი, რათა უზრუნველყოს, რომ სამართალდამცავი ორგანოები შეატყობინებენ მას ნებისმიერი დარღვევის შესახებ, რომელიც შესაძლოა რელევანტური იყოს შემოწმების პროცესისთვის.

4.2.6 სხვა დარღვევები

ნებისმიერი სხვა მნიშვნელოვანი დარღვევა, რომელიც არ არის ზემოთ მითითებული, აგრეთვე უნდა იქნას განხილული აუდიტის წამოწყების საფუძვლად.

⁵ G20/OECD, კრებული მამხილებლების დაცვაზე, 2011, რეკომენდაცია 3, გვ. 31, www.oecd.org/dataoecd/42/43/48972967.pdf.

4.2.7 შემთხვევითი შერჩევა და კორუფციის რისკი

სრული აუდიტის დასაწყებად ზედამხედველი ორგანო არ უნდა დაეყრდნოს მხოლოდ გარკვეულ დარღვევებს, არამედ უნდა წამოიწყოს აუდიტი შემთხვევით შერჩეული რამოდენიმე დეკლარაციის მიმართაც. ეს მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ თანამდებობის პირებმა თავი შეიკავონ მეტნაკლებად ოსტატურად გაყალბებული „დამაჯერებელი“ და „ნათელი“ დეკლარაციების ჩაბარებისგან, რომლებიც არ იძლევიან ეჭვის საბაზს, მაგრამ შესაძლოა რაიმე კუთხით არასწორი იყოს (არ მოიცავდეს მნიშვნელოვან შემოსავალს ან ქონებას). შემთხვევითი შერჩევას (მაგალითად კომპიუტერული ლატარეის მეშვეობით) უზრუნველყოფილ უნდა იქნეს, რომ ყოველწლიურად უმეტესწილად განსხვავებული ნიმუში იყოს შერჩეული.

შემთხვევითი შერჩევას პრიორიტეტი შეიძლება მიენიჭოს იმ თანამდებობის პირებს, რომლებსაც კორუფციის მაღალი რისკის მატარებელი პოზიციები უკავიათ (რომელთაც აქვთ ხელმოწერის უფლებამოსილება, სექტორი, სადაც ხარჯვის დიდი შესაძლებლობაა, როგორც არის სატრანსპორტო ან სამშენებლო სექტორი, ფინანსურად არასწორად მართული, ან ასეთად აღქმული სექტორი, ა.შ.).

სრული აუდიტის საერთო რაოდენობა დამოკიდებულია არსებული პერსონალის რაოდენობაზე, მაშინ როდესაც შემთხვევითი შერჩევის შედეგად ჩატარებული შემოწმებების რაოდენობა დამოკიდებულია იმ შემოწმებების გამოცდილ რაოდენობაზე, რომლებიც საჭიროებისამებრ დაიწყო მედიის რეპორტაჟებზე, საჩივრებზე და სარწმუნოების შემოწმებაზე დაყრდნობით.

4.3 მეთოდოლოგია

4.3.1 ანალიზის ნაბიჯები

სრული აუდიტი უყურებს დეკლარაციას იგივე სამი კუთხიდან, როგორც სარწმუნოების შემოწმება:

1. შემომავალი ფულის ნაკადის ოდენობის დადგენა..
2. გამავალი ფულის ნაკადის ოდენობის დადგენა.
3. შემომავალი და გამავალი ნაკადების თანაფარდობის შემოწმება.

ამდენად, სრული აუდიტი სრულად ეფუძნება გაანგარიშებას რომელიც ახსნილ იქნა „სარწმუნოების შემოწმების“ თავში (თავი 3). ის განსხვავდება მხოლოდ თითოეული ნაბიჯის დადასტურების, დაწვრილებითი შესწავლის ინტენსიურობის და გამოყენებული საშუალებების მხრივ.

4.3.2 საგამოძიებო სტრატეგია

აუდიტი იწყება ინფორმაციის შეგროვების სტანდარტული პროცედურით ზედამხედველი ორგანოსათვის ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზებიდან (საჯარო რეესტრები, ა.შ., იხილეთ 4.4 ქვემოთ).

შემდეგი სამი სტრატეგიული კითხვა განაპირობებს შემდგომ ნაბიჯებს:

- დასაწყისისთვის რა არის შესაძლო **სუსტი/საეჭვო** ადგილი დეკლარაციაში?
- სად ტოვებს დეკლარირებული მონაცემები **კვალს**? არსებობს თუ არა სამართლებრივი მოთხოვნები დოკუმენტაციის მიმართ? ან არსებობს თუ არა

ინფორმაციის ნებაყოფლობითი წარმოდგენის ტიპური შემთხვევები (მაგალითად, მეწარმე როგორც წესი აქვეყნებს ძირითად მონაცემებს ინტერნეტში)?

- რა ინფორმაციას შეუძლია სავარაუდოდ გაამყაროს ან წინააღმდეგობაში მოვიდეს დეკლარირებულ მონაცემებთან, და სად ტოვებს იგი კვალს?

პირველ რიგში, ნებისმიერ გამოვლენილ ფინანსურ პოზიციასთან მიმართებაში სასარგებლო იქნება შევადგინოთ შესაძლო ჩართულ დაინტერესებულ მხარეთა და მტკიცებულებათა სქემა. შემოწმების პერსპექტივა შესაბამისად არის ფინანსური გამომძიებლის, ფულის გაყალბების ანალიტიკოსის, საგადასახადო ინსპექტორის თუ გარე აუდიტის პერსპექტივა.

შემომავალ პოზიციებთან დაკავშირებით, შემდეგი არაამომწურავი კითხვების სია შესაძლოა სასარგებლო იყოს დეკლარაციაში შესასვლელად გააზრებული გზის საპოვნელად:

- არის თუ არა ოდენობა მეტწილად დამაჯერებელი?

მაგალითად ხელფასი: თანამდებობის პირებისთვის ხელფასი განისაზღვრება კანონმდებლობით. სხვა სამუშაოსთვის, შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ ზოგადი გამოცდილებით.

- არის თუ არა რაიმე მინიშნება, რომ სამართლებრივი საფუძველი ან ეკონომიკური საქმიანობა არ არსებობს შემოსავლისთვის?

მაგალითად, აღწერილობით ინფორმაციას დაკავშირებულს გაქირავებულ ქონებასთან, საავტორო უფლებასთან ან სამეწარმეო საქმიანობასთან სინამდვილეში აქვს დასტური (ვებ გვერდი, მისამართი, ა.შ.).

- მიესადაგება თუ არა მონცემი საბაზრო მდგომარეობას?

მაგალითად: ბანკის მიერ გაცემულ პირად სესხს აქვს განსაკუთრებულად დაბალი საპროცენტო განაკვეთი (0.5%). სადაო ღირებულების საავტორო უფლებები გაიყიდა ერთი შეხედვით გაბერილ ფასად.

- არის თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ შემოსავლის წყარო ვერ მოიტანდა შემოსავალს, ეკონომიკური თუ სხვა მიზეზების გამო?

სავარაუდო კრედიტორი გასცემს სესხებს მხოლოდ კომერციულ კლიენტებზე.

- არის თუ არა შემოსავლების უკან მდგომი კალკულაცია დამაჯერებელი?

მაგალითად, სესხის განმავლობაში სესხის დასაფარად გადახდილი თანხები არ დაემატა ნასესხები თანხის ოდენობას.

- ეწინააღმდეგება თუ არა რაიმე ინფორმაცია წინა დეკლარაციებს?

ყოველწლიური დეკლარაცია ასახავს სესხად გაცემული თანხის დაბრუნებას, რაც არ იქნა ასახული პირველად დეკლარაციაში.

- არის თუ არა დამაჯერებელი, რომ თანამდებობის პირმა, როგორც ის აცხადებს, ქონება მიიღო საჩუქრად?

მაგალითად: თანამდებობის პირი ამტკიცებს, რომ მიიღო ძვირადღირებული მანქანა „მეგობრისგან“.

გამავალ ფულის ნაკადთან დაკავშირებით, მოქმედებს სხვათა შორის შემდეგი კითხვები,:

- არის თუ არა გაცხადებული ღირებულება მეტწილად დამაჯერებელი?

უძრავი ქონება: არის თუ არა ღირებულება შესაბამისი ქონების მოცულობასა და ადგილმდებარეობასთან?

- არის თუ არა რაიმე ქონების თვალშისაცემი დანაკლისი?

მაგალითად, საშუალო შემოსავლის მქონე თანამდებობის პირს, რომელიც ცხოვრობს ქვეყნის შორეულ ნაწილში, არ ყავს სატრანსპორტო საშუალება.

- მიესადაგება თუ არა მონცემი საბაზრო მდგომარეობას?

მაგალითად: ფასიანი ქაღალდი განთავსებულია ოფიციალურ ბირჟაზე.

- შეუძლია თუ არა თანამდებობის პირს შეინარჩუნოს ქონება?

მაგალითად: თანამდებობის პირს ყავს იახტა და ოთხი მანქანა, რომლებიც მან შეიძინა თანამდებობაზე განწესებამდე, მაგრამ არ აქვს დამატებითი შემოსავალი გარდა მისი ხელფასისა.

- ეწინააღმდეგება თუ არა რაიმე ინფორმაცია წინა დეკლარაციებს?

წინა დეკლარაციაში მითითებული ქონება არ ჩანს შემდგომ დეკლარაციაში, ყოველგვარი განმარტების გარეშე, განსაკუთრებით კი არ არის მითითებული ამ ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი.

სასარგებლო და ამომწურავი “სახელმძღვანელო ფინანსური გამოძიებებისთვის” და “ფინანსური გამოძიებების ჩამონათვალი” ფინანსური გამოძიებისას გზებისა და ნაკვალევების გამოყენებისათვის ხელმისაწვდომია აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტიდან (ქონების ჩამორთმევის და ფულის გათეთრების სექცია).⁶

4.4 ინფორმაციის წყაროები

სრული აუდიტი იყენებს ინფორმაციის შემდეგ წყაროებს, კერძოდ:

4.4.1 ელექტრონული და წერილობითი მონაცემები

4.4.1.1 სახელმწიფო მონაცემთა ბაზები

საქართველოს - მსოფლიოსთან შედარებით - გაუმართლა, რომ აქვს მეტად კომპიუტერიზებული საჯარო ადმინისტრაცია. ზედამხედველ ორგანოს შეუძლია, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მეშვეობით, მარტივად დაუკავშირდეს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ უამრავ საჯარო მონაცემთა ბაზებს.

განსაკუთრებით საჭიროა დეკლარაციაში მითითებული (ან არ მითითებული) ინფორმაციის გადამოწმება შემდეგ მონაცემთა ბაზებში:

- საგადასახადო ორგანო
- სატრანსპორტო საშუალებათა რეესტრი
- მიწის რეესტრი
- სამოქალაქო რეესტრი
- სამეწარმეო რეესტრი

⁶ <http://www.justice.gov/criminal/afmls/pubs/> (ინგლისურად).

- სასაქონლო ნიშნებისა და ლიცენზიების რეესტრი
- პარტიების დაფინანსების მონაცემთა ბაზა.
- უცხოური საჯარო მონაცემთა ბაზები

ინფორმაცია **საგადასახადო ორგანოებიდან** (თუკი განსხვავდება ზედამხედველი ორგანოსაგან) შეიძლება არა მხოლოდ გამოყენებულ იქნას იმ მიზნით, რომ შედარდეს საგადასახადო მიზნებისათვის დეკლარირებული წლიური შემოსავალი შემოსავალთან, რომელიც დეკლარირებულ იქნა ფინანსურ დეკლარაციაში. განსაკუთრებით საწყისი დეკლარაციების დამაჯერებლობა, მაგალითად ეჭვები დეკლარირებული არარსებული ქონების შესახებ (იხილეთ თავი 7.5 ზემოთ), შეიძლება გადამოწმებულ იქნას წინა საგადასახადო დეკლარაციებში ჩახედვით. ვინაიდან საწყისი დეკლარაცია მოიცავს მხოლოდ შეზღუდულ მონაცემებს (თანამდებობაზე განწესების მომენტის ან წლისათვის, ზოგიერთ სისტემაში აგრეთვე წინამორბედი წლისათვის), საგადასახადო დეკლარაციას შეუძლია უზრუნველყოს ღირებული დამატებითი ინფორმაცია. თუკი განწესებამდე არსებულ წლებში არ არსებობდა შემოსავალი და ამისდამიუხედავად არსებობს აუხსნელი ქონების შენაძენები, ამან უნდა გამოიწვიოს დაწვრილებითი ვკლევა. საგადასახადო დეკლარაციები აგრეთვე გამოსადეგია, როდესაც მოწმდება მესამე პირების მხრიდან ფულის გადაცემის ან საჩუქრის დამაჯერებლობა: განამტკიცებს თუ არა მათი საგადასახადო დეკლარაციები საკმარისი სახსრების ქონას გაცხადებული ფულის თანამდებობის პირისათვის მისაცემად? ასეთ შემთხვევებში, ინფორმაციამ თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაციებიდან შეიძლება აგრეთვე გამოიწვიოს საგადასახადო შემოწმება.

ინფორმაცია **სამოქალაქო რეესტრიდან** გამოიყენება ოჯახის წევრების დასადგენად, აგრეთვე იმ ოჯახის წევრების გამოსავლენად, რომლებიც არ ცხოვრობენ თანამდებობის პირთან. ასეთი ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაცია შეიძლება სასარგებლო იყოს როდესაც ტრანზაქცია მესამე მხარეებთან შესაძლოა არ იყოს საეჭვო, მაგრამ იქნებოდა საეჭვო თუკი განხორციელდებოდა ოჯახის წევრთან, ან პირიქით. დამატებით, ინფორმაცია ოჯახის წევრების შესახებ აგრეთვე საინტერესოა უკანონო შემოსავლების/სიმდიდრის შესაძლო დაფარვების დასადგენად.

სასაქონლო ნიშნები და ლიცენზიები არა მხოლოდ აქტივებია, არამედ შესაძლოა იყოს ბიზნესის, და შესაბამისად შემოსავლის, ინდიკატორი, რომელიც თანამდებობის პირმა სათანადოდ არ ასახა დეკლარაციაში. მაგალითისთვის, სერბეთში, ინფორმაციამ ავტორთა სააგენტოდან გამოავლინა, რომ თანამდებობის პირი, რომელიც მუშაობდა ჯანდაცვის სფეროში, იღებდა არადეკლარირებულ შემოსავალს ფარმაცევტულ კომპანიებთან გაფორმებული რამოდენიმე საავტორო უფლების ხელშეკრულებიდან.⁷

პარტიების დაფინანსების მონაცემთა ბაზა: შედარებამ შეიძლება გამოავლინოს განახორციელა თუ არა თანამდებობის პირმა > 1,500 ლარის შეწირულობა, რომელიც არ იქნა ხარჯად დეკლარირებული.

4.4.1.2 საჯარო ქალაქის საბუთები

ყველა შესაბამისი ინფორმაცია არ მოიპოვება მონაცემთა ბაზებში. მაგალითად, ინფორმაცია სამკვიდროს გაყოფის შესახებ მოიპოვება ანდერძის დამმოწმებელი სასამართლოს ან შესაბამისი უწყების მასალებში. ამგვარი მასალები შესაძლოა რელევანტური იყოს სამკვიდროდან მიღებული შემოსავლის შესამოწმებლად.

⁷ ReSPA (იხილეთ დანართი III) გვერდი 179.

4.4.1.3 კვლევა ინტერნეტში

ინტერნეტში კვლევით შეგვიძლია მივიღოთ ინფორმაცია ან სურათები თანამდებობის პირზე. მაგალითად, რუსეთის პატრიარქს 2012 წელს გადაუღეს ფოტო, რომელზეც ჩანს, რომ მას ეკეთა 30 000 აშშ დოლარის ღირებულების საათი. ფოტოსურათმა საზოგადოების პროტესტი გამოიწვია.⁸

გარდა ინფორმაციისა თანამდებობის პირის შესახებ, ინტერნეტში არის აგრეთვე რიგი სავაჭრო გვერდებისა მანქანებისთვის, უძრავი ქონებისთვის და სხვა ძვირფასეულობისთვის, რაც მოგვაწვდის ინფორმაციას დეკლარირებული ღირებულებების სარწმუნოების შესახებ. თუკი დეკლარირებული ღირებულება არ არის დამაჯერებელი, დამატებითი ახსნა-განმარტება შესაძლოა წარმოადგინოს ექსპერტმა ან მოწმემ.

დამატებით, ინტერნეტში არსებული სოციალური პლატფორმები იძლევიან უხვ ინფორმაციას ბევრი ადამიანის პირადი ცხოვრების და დანახარჯების (როგორც არის საზღვარგარეთ მოგზაურობები) შესახებ.

4.4.1.4 კომერციული ბაზები

ზოგიერთი კომერციული ბაზა იძლევა ფინანსურ ინფორმაციას იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე (ვალეებზე, ბიზნესებზე, ა.შ.). მონაცემთა ბაზები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით.⁹

4.4.1.5 გადაყრილი ნაგავი

სამართალდამცავი ორგანოები ხშირად ჩხრევენ ექვმიტანილის გადაგდებულ ნაგავს მტკიცებულებისათვის. ეს ტექნიკა შეიძლება ეფექტური გზა იყოს კვალის ასაღებად სად ინახება აქტივები, აგრეთვე შესაძლოა საფუძვლის მოსამზადებლად იძულებითი ზომებისთვის და მტკიცებულებისთვის სასამართლოში გამოსაყენებლად. ექვმიტანილები ხშირად აგდებენ მტკიცებულებას, მათ შორის ფინანსურ ჩანაწერებს და კორესპონდენციას, რაც შესაძლოა ღირებული იყოს ფინანსური გამოძიებისთვის.¹⁰ თუმცა, ეს ალბათ ზედმეტად სამართალდამცავ ხასიათს მისცემდა ზედამხედველ ორგანოს საქართველოში, თუკი ეს ინსტრუმენტი ჩაიდებოდა.

4.4.1.6 საბანკო ტრანზაქციები

ბევრ ქვეყანაში საბანკო საიდუმლოება ხელს უშლის ფინანსური დეკლარაციების გადამოწმებას საბანკო ანგარიშის ტრანზაქციებთან. თუმცა, არის ქვეყნები, სადაც ზედამხედველ ორგანოს ქონების დეკლარაციის შემოწმების მიზნით ხელი მიუწვდება საბანკო მონაცემებზე (მაგალითად კოსოვო და სერბეთი).¹¹ თუმცა, ზედამხედველ ორგანოს შეუძლია შესთავაზოს თანამდებობის პირებს წინასწარ (ნებაყოფლობით) განაცხადონ თანხმობა მათი ბანკების მიერ დეტალური ანგარიშგების ინფორმაციის

⁸ BBC, 5 აპრილი 2012, რუსეთის პატრიარქი კირილი ფურორშია ძვირადღირებული საათის გამო, <http://www.bbc.co.uk/news/world-europe-17622820>.

⁹ შეერთებული შტატებისთვის იხილეთ მაგალითად <http://www.lexisnexis.com/risk/financial-services.aspx>.

¹⁰ FATF ანგარიში, სახელმძღვანელო ფინანსური გამოძიებებისათვის, ივნისი 2012,

www.fatf-

gafi.org/media/fatf/documents/reports/Operational%20Issues_Financial%20investigations%20Guidance.pdf.

¹¹ ReSPA (იხილეთ დანართი III) გვერდი 12.

(მაგალითად, გარკვეული ზღვარს ზევით ტრანზაქციებზე) წარდგენაზე (როგორც ეს ხდება ალბანეთში და მაკედონიაში).¹² ამის შემდგომ ზედამხედველ ორგანოს შეუძლია თანამდებობის პირის თანხმობის საფუძველზე გამოითხოვოს ეს ინფორმაცია ბანკებიდან. ოჯახის წევრების საბანკო მონაცემებისათვის აგრეთვე საჭირო იქნება მათი თანხმობა. ვინაიდან საქართველოში ისინი თავად არ ექვემდებარებიან დეკლარირებას, სავარაუდოდ ზედმეტად რთული იქნება მათი თანხმობის წინასწარ მოპოვება; თუმცა, შემოწმების დაწყების შემდგომ, მათი თანხმობის მოპოვება ცალკეულ შემთხვევებში კვლავ რჩება შესაძლებლობად.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური უფლებამოსილია გამოითხოვოს საბანკო მონაცემები მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, ცალკეულ შემთხვევებში პოლიტიკური დაფინანსების დეკლარაციების შესამოწმებლად. ვინაიდან ორივე, პოლიტიკური დაფინანსების და ქონების დეკლარაციის შემოწმების პროცედურები ემსახურებიან მსგავს პრევენციულ მიზნებს, შესაძლებელია, რომ შემოღებულ იქნას წვდომა მოსამართლის მეშვეობით ქონების დეკლარაციის შემოწმების მიზნებისთვისაც.

დამატებით, საგადასახადო ორგანოებს აქვთ ბევრად შორს-მწვდომი შესაძლებლობები საბანკო მონაცემებში ჩასახედად როგორც კი საგადასახადო გამოძიება დაიწყება. ზედამხედველ ორგანოს, შესაბამისად, შეუძლია უმაღვე გადასცეს შეგროვილი მტკიცებულებები საგადასახადო ორგანოებს. ეს შესაძლებლობას მისცემს საგადასახადო ორგანოს დროულად დაიწყოს საგადასახადო გამოძიება და ქონდეს წვდომა ამ მონაცემებზე მისი ფართო უფლებამოსილებით (იხილეთ თავი E ქვემოთ).

4.4.1.7 სხვა დეკლარაციები

სრული შემოწმებისთვის საჭიროა ერთი თანამდებობის პირის ან ოჯახის წევრის ყველა წინა და მინდინარე დეკლარაციები შედარდეს ერთმანეთთან, განსაკუთრებით ებმება თუ არა ისინი ერთმანეთს ერთი წლიდან მომდევნო წელს, თუ არის აუხსნელი ნახტომები შემოსავალში ან აქტივებში..

დამატებით, სხვა თანამდებობის პირების დეკლარაციებმა შეიძლება გამოავლინოს პარალელური მსგავსებები. მაგალითად, თუკი რამოდენიმე თანამდებობის პირს ექნება მნიშვნელოვანი მოგება ერთიდაიგივე კაზინოში, ამან შეიძლება მიანიშნოს შესაძლო საიდუმლო მორიგებაზე კაზინოსა და თანამდებობის პირებს შორის.

4.4.2 ადგილზე დათვალიერება

4.4.2.1 ცხოვრების სტილის შემოწმება

ცხოვრების სტილის შემოწმება არის ფილიპინების ანტიკორუფციული ინსტიტუტების მიერ შემუშავებული სგამოძიებო სტრატეგია თანამდებობის პირების უპატიოსნო გზით მიღებული სიმდიდრის არსებობის გამოსავლენად.¹³ ცხოვრების სტილის შემოწმება იწყება თანამდებობის პირის, აგრეთვე შესაძლოა მისი ოჯახის წევრების, სახლში ვიზიტით. სხვათა შორის ყურადღება უნდა მიექცეს მოდურ სატრანსპორტო საშუალებებს (ნავებს, მანქანებს, წყლის მოტოციკლებს, ა.შ.), რომლებიც შეიძლება

¹² ReSPA იქვე.

¹³

<http://www.ombudsman.gov.ph/index.php?home=1&navId=Nq==&subNavId=NTE=&sub2NavId=NJE=&projId=MTY=&disp=1>.

გაჩერებული იყოს სახლის წინ ან გამოიყენება თანამდებობის პირის გადასაადგილებლად, ან მხლებლების ყოლას (პირადი მცველები, კამერდინერები, მოახლეები, ა.შ.). სამსახურში ვიზიტის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს ძვირადღირებული კოსტუმი ან ძვირფასეულობა, რომლებსაც ატარებს თანამდებობის პირი.

ცხოვრების სტილის შემოწმება შეიძლება მოიცავდეს კითხვებს თანამდებობის პირის, მისი მეზობლების, ნაცნობების ან კოლეგების მიმართ სხვა ინფორმაციის შესახებ, როგორც არის მოგზაურობები საზღვარგარეთ, საზღვარგარეთ სასწავლებლად გაშვებული შვილები, ან მდიდრული წვეულებების შესახებ.¹⁴ ინფორმაცია შესაძლოა მოპოვებულ იქნას ინტერნეტშიც (იხილეთ 4.4.1.3 ზემოთ).

თუმცა, ცხოვრების სტილის შემოწმება შესაძლოა კარგად არ იქნას აღქმული საზოგადოების მიერ საქართველოში, „მეთვალყურე სახელმწიფოს“ წინამორბედი გამოცდილებიდან გამომდინარე. ამასთან, საქართველო ვერ შეედრება სხვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, რომელთაც პრობლემები აქვთ სისტემურ მეკრთამეობასთან. ამ ფონის გათვალისწინებით, მიზნობრივი ადგილზე გასვლები შესაძლოა განხორციელდეს როდესაც ისინი აუცილებელი და მნიშვნელოვანია ინდივიდუალურ შემთხვევებში. მაგალითად კოსოვოში*, ანტიკორუფციულმა სააგენტომ მიიღო ანინიშური გაფრთხილება, რომ თანამდებობის პირს ქონდა მდიდრული სახლი აუზით, რომელიც მას არ ქონდა მითითებული საჯაროდ ელექტრონულად ხელმისაწვდომ დეკლარაციაში. სააგენტო დაეკონტაქტა ანანომიურ წყაროს, რომელიც არაფორმალურად დასთანხმდა თანამშრომლობაზე. წყარო და სააგენტოს წარმომადგენლები წავიდნენ ქალაქში, სადაც წყაროს მტკიცებითი მდებარეობდა სახლი. სააგენტომ გადაიღო სურათები და მიწების რეესტრიდან გამოითხოვა ინფორმაცია მესაკუთრის შესახებ - აღმოჩნდა, რომ სახლი სინამდვილეში ეკუთვნოდა ამ თანამდებობის პირს.¹⁵

4.4.2.2 ბიზნესის შემოწმება

ცხოვრების სტილის შემოწმების მსგავსად, ვიზიტმა სამუშაო ადგილზე, ან სხვაგვარად ინფორმაციის მოძიებამ, შეიძლება აჩვენოს არის თუ არა ოჯახური ბიზნესი არალეგალურად წარმოშობილი შემოსავლის საფარველი, მაგალითად როდესაც გაცხადებული ავტოსახელოსნო საერთოდ არ არსებობს მითითებულ ადგილას. ისევ და ისევ, ეს გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ ცალკეულ მიზნობრივ შემთხვევებში.

4.4.3 ინტერვიუები

4.4.3.1 ექსპერტები, მოწმეები

ზედამხედველ ორგანოს ყოველთვის შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია სახელმწიფო სააგენტოებიდან, მაგალითად მიწების რეესტრიდან ან შესაბამისი ინსტიტუტებიდან (კერძო ბროკერებისგანაც კი) უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების შესახებ. ამ მხრივ, სახელმწიფო ორგანოები ვალდებული უნდა იყვნენ შეასრულონ ამგვარი მოთხოვნები.

4.4.3.2 თანამდებობის პირი, ოჯახის წევრი

¹⁴ <http://pcij.org/HotSeat/lifestyle.html>.

¹⁵ ReSPA, გვერდი 145.

ყველა შემთხვევაში, თანამდებობის პირი და მისი ოჯახის წევრები წარმოადგენენ ყველაზე გათვითცნობიერებული ინფორმაციის წყაროს. მაგრამ, კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ თანამდებობის პირის ან მისი ოჯახის წევრების დაკითხვის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამან შესაძლოა გამოიწვიოს არაკეთილსინდისიერი თანამდებობის პირის გაფრთხილება, რომელსაც მიეცემა შესაძლებლობა გააყალბოს მტკიცებულებები როდესაც მისთვის ცნობილი გახდება, რომ დარღვევა გამოვლენილი იქნა.

კიდევ ერთი შესაძლებლობაა სამართალდამცავი ორგანოების შეტყობინება. თუკი მათ ამოწურეს გამოძიების ყველა საშუალება, მაშინ შეიძლება მოხდეს გასაუბრება თანამდებობის პირთან ან მისი ოჯახის წევრებთან.

თუკი თანამდებობის პირი წარმოადგენს დამატებით დოკუმენტაციას მისი პოზიციის დასადასტურებლად, მნიშვნელოვანია გადამოწმდეს მათი ნამდვილობა (არის თუ არა განმამტკიცებელი დოკუმენტები ნამდვილი, ე.ი. ხელმოწერილი კომპეტენტური პირის მიერ, სათანადო ფორმით, ა.შ.?).

მაგალითად, ქირავნობის ხელშეკრულება დადებული კომპანიასთან შესაძლოა ითხოვს კომპანიის დირექტორის, და არა მხოლოდ ერთ-ერთი თანამშრომლის ხელმოწერას.

4.4.4 სავალდებულო ზომები სხვა უწყებების მიერ

უკანონო შემოსავალი შესაძლოა ყოველთვის არ უთითებდეს კონკრეტულ კორუფციულ დანაშაულზე, მაგალითად კრთამის აღება ან ფულის მითვისება, მაგრამ უკანონო შემოსავალი თითქმის ყოველთვის იწვევს ფულის გათეთრების და/ან გადასახადებისაგან თავის არიდების დანაშაულებს.

საეჭვო პირველად მტკიცებულებებზე დაყრდნობით შემდეგ სამართალდამცავ ორგანოებს შეუძლიათ გამოიყენონ მტკიცებულებების მოპოვების სავალდებულო და საიდუმლო ზომები:

- ფინანსური პოლიცია (საგადასახადო დარღვევა, ა.შ.), ან პოლიციის სხვა შესაბამისი განყოფილება;
- გენერალური პროკურორი

4.4.5 ექსკურსი: მონაცემები ფულის გათეთრების შესახებ

გარდა ადრე ნახსენები სამართალდამცავი სააგენტოებისა, ფინანსური მონიტორინგის სამსახურს შეუძლია მოიძიოს ფინანსური ინფორმაცია სხვა იურისდიქციებიდან. ფინანსური დაზვერვის განყოფილებები (როგორც არის ფინანსური მონიტორინგის სამსახური), როგორც წესი, აკვირდებიან ორი ტიპის საფინანსო მოდელს, იმისათვის რომ აღმოაჩინონ ფულის გათეთრების შემთხვევები:

- ტრანზაქციები საეჭვო სპეციფიკაციებით, როგორც არის ფულის სისტემატური გადარიცხვები საგადასახადო სამოთხეებში;
- გარკვეულ ზღვარს ზევით ტრანზაქციები, მაგალითად 10,000 €

ყველა საფინანსო ინსტიტუტი სახელმწიფოში (და რიგი არა-საფინანსო ბიზნესებისა და პროფესიებისა) ვალდებულია ფინანსური დაზვერვის განყოფილებას (ფდგ) შეატყობინოს ამ ორთაგან ნებისმიერი ტრანზაქციის თაობაზე. ფინანსური დაზვერვის განყოფილება ინიშნავს და აანალიზებს საეჭვო ტრანზაქციების შეტყობინებებს (სტმ)

და ფულადი ტრანზაქციების შეტყობინებებს (ფტშ) შესაძლო შემდგომი გამოძიებისათვის. ეს ანგარიშები ფასდაუდებელი წყაროა თანამდებობის პირების საფინანსო დეკლარაციების შესამოწმებლად. მარტივად შესაძლებელია, რომ თანამდებობის პირის ნებისმიერი საეჭვო ტრანზაქციის შეტყობინება ან ფინანსური ტრანზაქციის შეტყობინება არ შეესაბამებოდეს მის დეკლარაციას. მაგალითად, მსგავსი ანგარიშები შეიძლება აჩვენებდნენ ფულად ტრანზაქციებს დეკლარირებული ოდენობების მიღმა, ან ტრანზაქციებს უცხოეთის მიმართულებით, რაც არ არის ასახული დეკლარაციაში. და პირიქით, ფულადი ტრანზაქციის შეტყობინების არარსებობამ შესაძლოა გამოიწვიოს კითხვები, თუკი თანამდებობის პირს აქვს დეკლარირებული ქონების შენაძენი და როგორც ჩანს ეს განხორციელდა ფულის დიდი ოდენობის გადახდით. ანალოგიურად, თანამდებობის პირი შეიძლება აცხადებდეს, რომ მან აიღო სესხი მეგობრისგან, მაგრამ არ არსებობდეს ფულატი ტრანზაქციის შეტყობინება, რომელიც ასახავდა საეჭვო საბანკო გადარიცხვას. კიდევ ერთი სტანდარტული კითხვა ფინანსური დაზვერვის განყოფილებისთვის არის არსებობს თუ არა თანამდებობის პირთან დაკავშირებული რაიმე საზღვრის გადამკვეთი ტრანზაქციები.

გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ ფინანსური მონიტორინგის სამსახურს არ შეუძლია არანაირი მიღებული ინფორმაციის გადაგზავნა ზედამხედველი ორგანოსათვის, არამედ მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოებისათვის; მაგრამ, თავად შემოწმებისა და შემდგომი გამოძიების პროცესისთვის ძალზედ სასარგებლო შეიძლება იყოს ინფორმაციის მოპოვების ის ფართო შესაძლებლობები, რაც გააჩნია ფინანსური მონიტორინგის სამსახურს - მაგრამ არა სხვა სამართალდამცავ ორგანოებს. თუმცა, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ნებისმიერი ჩართულობა უნდა მოხდეს გენერალური პროკურორის მეშვეობით, ვინაიდან ფინანსური მონიტორინგის ორგანოს თავისთავად არ გააჩნია აღმასრულებელი უფლებამოსილებები.

4.4.6 ინფორმაცია უცხოელი მხარეებისგან

პროცესის განმავლობაში პატივი უნდა ვცეთ უცხო ქვეყნის სუვერენიტეტს. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს არ აქვთ უფლება აწარმოონ საკუთარი გამოძიება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე. ზოგიერთ იურისდიქციაში ცნობების მოპოვება კავშირგაბმულობის მეშვეობითაც კი (ტელეფონი, წერილი ან ელ. ფოსტა) ხვდება ტერიტორიულ სუვერენიტეტში. ზედამხედველმა ან სამართალდამცავმა ორგანომ უცხოეთის სახელმწიფო თუ კერძო პირებისგან ინფორმაციის მოპოვების მიზნით უნდა მიმართოს სამართლებრივი ურთიერთდახმარების არხებს, რომლებიც როგორც წესი იმყოფება გენერალურ პროკურორთან და/ან იუსტიციის სამინისტროში. მსგავსი პროცედურები შესაძლოა მეტად დროის მომცველი აღმოჩნდეს.

ალტერნატიულად, მომავალში საქართველოს ზედამხედველმა ორგანომ შესაძლოა უცხოურ ორგანოებთან გააფორმოს შეთანხმებები ინფორმაციის პირდაპირი გადაცემის შესახებ. ამ კუთხით უნდა ავლნიშნოთ შემდგომი საერთაშორისო მაგალითები: მაკედონია ნაწილობრივ იკმაყოფილებს უცხოური წყაროებიდან ინფორმაციის მიღების საჭიროებას საგადასახადო ადმინისტრაციის მეშვეობით: ორმაგი დაბეგვრის თაობაზე ხელშეკრულებების საფუძველზე, საგადასახადო ორგანო მოიპოვებს ინფორმაციას სხვა ქვეყნის საგადასახადო ორგანოებისაგან იმის შესახებ, იხდის თუ არა კონკრეტული პირი გადასახადებს, და თუ კი, რა სახის გადასახადებს. კოსოვოში,* ზედამხედველ ორგანოს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ალბანეთთან და მემორანდუმის მზადების პროცესშია მონტენეგროსთან, რაც აძლევს საშუალებას გაცვალოს ინფორმაცია შემოწმების (და

სხვა ანტი-კორუფციული) მიზნებისათვის. უფრო მეტიც, ზედამხედველი ორგანო კოსოვოში* იყენებს ფინანსური დაზვერვის განყოფილებების საერთაშორისო ქსელს, რომ მოიპოვოს ინფორმაცია უცხოეთიდან პირდაპირი და ნაკლებ ფორმალური გზით. აღსანიშნავია, რომ ხორვატიაში კანონი ინტერესთა შეუთავსებლობის აღმოფხვრის შესახებ უფლებას აძლევს ზედამხედველ ორგანოს პირდაპირ, სამართლებრივი ურთიერთდახმარების არხების გავლის გარეშე, გამოითხოვოს ინფორმაცია საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ან უცხოეთის დაწესებულებებიდან. თუმცა, ინტერესთა შეუთავსებლობის აღმოფხვრის შესახებ კანონის ეს მუხლი არ ყოფილა ჯერ პრაქტიკაში გამოყენებული, ამდენად ჯერჯერობით უცნობია რამდენად ეფექტური იქნება ეს დებულება სინამდვილეში.

საქართველოსთვის რეკომენდირებულია, რომ მონაცემთა ასეთი პირდაპირი საერთაშორისო გაცვლის საჭიროება და შესაძლებლობა განხილულ იქნას მას შემდგომ რაც სისტემა გამართული და მოქმედი იქნება. მანამ სანამ საქართველოს გარშემო არ არის კონკრეტული ქვეყნები სადაც თანამდებობის პირები ტიპიურად დამალავდნენ აქტივებს, განსაკუთრებით ქონებას და ანაზრებს, ძალისხმევა საერთაშორისო შეთანხმებების დასამყარებლად არ იქნება გამართლებული.

4.5 ოჯახი, მესამე პირები

4.5.1 ოჯახის წევრების იდენტიფიცირება

აუდიტმა აგრეთვე უნდა შეისწავლოს საკითხი კეთილსინდისიერად შეიყვანა თუ არა თანამდებობის პირმა ყველა ოჯახის წევრი მის დეკლარაციაში (პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი ან გერი, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ მასთან, როგორც ეს განმარტებულია ინტერესთა შეუთავსებლობის კანონით). ზედამხედველი ორგანო არ უნდა დაეყრდნოს მხოლოდ თანამდებობის პირის მიერ წარდგენილ მონაცემებს.

შემოწმების ერთი საშუალებაა წვდომა ბინადრობის, აგრეთვე სამოქალაქო რეესტრის (ქორწინება, დაბადება, ა.შ.), მონაცემთა ბაზებთან. დამატებით, ზედამხედველ ორგანოს შეუძლია შეამოწმოს ოჯახის წევრთა სიის სისრულე სხვადასხვა წლის ოჯახის წევრთა ნუსხის შედარებით. ჩვეულებრივ, ოჯახის წევრებთან დაკავშირებით, წლების განმავლობაში ცვლილება შეიძლება იყოს ბავშვების დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების ან განქორწინების გამო.

ყველა შემთხვევაში, სრული შემოწმება არასდროს იქნება შესაძლებელი: გერი სავარაუდოდ არ იქნება დარეგისტრირებული თანამდებობის პირთან დაკავშირებულ არც ერთ მონაცემთა ბაზაში. ტერმინი „მასთან მუდმივად მცხოვრები პირი“ არ არის ადმოკიდებული *de iure* საცხოვრებელთან, არამედ მხოლოდ *de facto* სერთო მეურნეობის გაზიარებასთან. პრაქტიკულად არ არსებობს გზა ზედამხედველი ორგანოსათვის, რომ გადაამოწმოს ვინ სად ცხოვრობს. ამდენად, ზედამხედველ ორგანოს მოუწევს მიენდოს წნებს, რომელსაც რეესტრის საჯაროდ გამჭვირვალეობა უქმნის თანამდებობის პირებს; თანამდებობის პირი, რომელიც „დამალავს“ შესაბამის ოჯახის წევრს, იქნება ფხიზელი მესამე პირის მიერ მხილების რისკის ქვეშ. არადეკლარირებული მაგრამ თანამცხოვრები ოჯახის წევრის გამოვლინების შემდგომ ზედამხედველ ორგანოს შეუძლია დაამტკიცოს მის მიერ საერთო მეურნეობის გაზიარება თანამდებობის პირთან. მსგავსად *inter alia* მოწმეების ჩვენებებით, ხდება *de facto* ბინადრობის დადგენა და შემოწმება საგადასახადო მიზნებისთვის.

4.5.2 ოჯახის წევრების აუდიტი

ოჯახის წევრებისათვის, იგივე შემოწმების ხერხები გამოიყენება, გარდა საბანკო მონაცემებზე წვდომისათვის წინასწარი თანხმობისა.

4.5.3 მესამე პირების აუდიტი

მესამე მხარეები შეიძლება იყვნენ:

- თანამდებობის პირის ბიზნეს ან სახელშეკრულებო პარტნიორები, მათ შორის საჩუქრის ან სესხის მიმცემები ან ამღებები;
- ნებისმიერი მესამე მხარე, რომელსაც შეუძლია ინფორმაციული წვლილი შეიტანოს აუდიტში.

თანამდებობის პირის ბიზნეს პარტნიორთან მიმართებაში, ხშირად ისმება კითხვა, ფინანსურად შეეძლო თუ არა პარტნიორს შეესრულებინა სავარაუდო ტრანზაქცია (მაგალითად, 1 მილიონი ლარის სესხი; 300 ათასი ლარის საჩუქარი). გამართლებული იქნება, თუკი ზედამხედველი ორგანო გადაამოწმებს ასეთ ტრანზაქციებს საჯაროდ ხელმისაწვდომი გზებით, მათ შორის სახელმწიფო მონაცემთა ბაზების მეშვეობით. აგრეთვე გამართლებული იქნებოდა, თუკი ზედამხედველი ორგანო თხოვდა ბიზნეს პარტნიორს (ნებაყოფლობით) წარმოედგინა ინფორმაცია ან დოკუმენტაცია გარიგების შესახებ.

რაც შეეხება ნებისმიერ მესამე მხარეს, ზედამხედველი ორგანო უფლებამოსილია ჰკითხოს (ნებაყოფლობით საფუძველზე) ასეთ პირებს ნებისმიერი ინფორმაცია რაც მათ სურთ წარადგინონ. თუმცა, არაპროპორციული გამოჩნდებოდა თუკი ნებისმიერი მესამე მხარის შესახებ ინფორმაცია გადამოწმდებოდა სახელმწიფო მონაცემთა ბაზებში.

სავალდებულო ზომები (დაბარება და დაკითხვა) შესაძლებელია მხოლოდ თუკი საქმე გადაეცა სამართალდამცავ ორგანოს. ამისათვის კი საჭიროა, რომ საეჭვო დანაშაულის შესახებ საჩივარი იყოს გაკეთებული.

D. შემოწმება: ინტერესთა შეუთავსებლობა

ინტერესთა შეუთავსებლობის მიზნით ორი კითხვა არის მნიშვნელოვანი:

- სწორად ასახავს თუ არა დეკლარაცია ყველა შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის სიტუაციას, როგორც არის ხელშეკრულებები, ბიზნეს აქტივობები, ა.შ. (სიმართლე)?
- წარმოიშობა თუ არა რეალური ინტერესთა შეუთავსებლობა აქედან (შესაბამისობა)?

სიმართლე: ზემოთ აღწერილი შემოწმების პროცედურა (თავი B) უზრუნველყოფს, რომ რამდენადაც შესაძლებელია გამოვლინდეს არადეკლარირებული ვითარებები, და შესაბამისად, თავისთავად მოიცავს დეკლარაციის სისწორეს ინტერესთა შეუთავსებლობასთან მიმართებაში.

შესაბამისობა: რეალურ ინტერესთა კონფლიქტს რაც შეეხება, ინტერესთა შეუთავსებლობის კანონი არ განსაზღვრავს ვინ არის პასუხისმგებელი ინტერესთა კონფლიქტის დებულებებთან შესაბამისობაზე. ინტერესთა შეუთავსებლობის

ზედამხედველობა ცალსახად თანამდებობის პირის ზემდგომის ვალდებულება უნდა იყოს, ადამიანური რესურსების დეპარტამენტის ან ეთიკის მრჩეველის შესაძლო დახმარებით. მოსამართლეებისთვის, ზემდგომი არის იუსტიციის უმაღლესი საბჭო, პარლამენტის წევრებისთვის - შესაბამისი დისციპლინური კომისია. კითხვა ისმის, თუ რა დამატებითი როლი შეიძლება ქონდეს ცენტრალურ ზედამხედველ ორგანოს. უნდა განვასხვაოთ ორი მოცემულობა:

- **შეუთავსებლობები** (ინტერესთა შეუთავსებლობის კანონის მე-13 მუხლი): ინტერესთა შეუთავსებლობები არის აბსოლიტური, ე.ი. ისინი არ არის დამოკიდებული გარემოებებზე. ზედამხედველმა ორგანომ უნდა შეამოწმოს ნებისმიერი შეუთავსებლობა (იმისდა მიუხედავად, რომ ეს თანამდებობის პირის ზემდგომის ძირითადი ვალდებულებაც არის). ამისათვის, კომპიუტერულ პროგრამას სავარაუდოდ შეუძლია შეადგინოს შესაბამისი თანამდებობის პირების სია (მაგალითად გაფილტროს მოსამართლეები სამეწარმეო საქმიანობით, ა.შ.).
- **ინტერესთა კონფლიქტები** (ინტერესთა შეუთავსებლობის კანონის მუხლები 7-11). ესენი ძირითადად ფარდობითია – დამოკიდებულია სამუშაოს აღწერილობასა და შესრულებაზე. ამდენად, მთლიანობაში, მხოლოდ ზემდგომს შეუძლია შეაფასოს რამდენად მოქმედებს ისინი. ამისდა მიუხედავად, ცენტრალურ ზედამხედველ ორგანოს უნდა ქონდეს უფლებამოსილება მიანიშნოს ნებისმიერი აშკარა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ და შეატყობინოს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს უფროსს. სახელმწიფო უწყებამ უნდა წარმოადგინოს უკუგება ინტერესთა შეუთავსებლობის შემდგომი კვლევის შედეგის შესახებ.

E. საქმეების გადაცემა სხვა უფლებამოსილი ორგანოებისათვის

საქმეების გადაცემა უნდა განვასხვაოთ სხვა უფლებამოსილი ორგანოების დახმარებისგან, რომელიც აღწერილ იქნა თავში C.4.4.4¹⁶ ზემოთ. დახმარების თხოვნა ფოკუსირებულია სავალდებულო ზომების მეშვეობით დამატებითი მტკიცებულებების შეგროვებისკენ, რათა ზედამხედველმა ორგანომ შეძლოს თავი მოუყაროს აუდიტს. საქმის გადაცემას ადგილი აქვს, როდესაც ზედამხედველი ორგანოს შესაძლებლობები ამოწურულია, ან როდესაც ამ დროისათვის შეგროვებული მტკიცებულებები მიანიშნებს **სისხლისსამართლებრივი დანაშაულის** ჩადენის ალბათობისკენ (და ზედამხედველ ორგანოს თავად არ აქვს სისხლისსამართლებრივი გამოძიების წარმოების უფლებამოსილება), ან **დისციპლინარული გადაცდომის** შესაძლებლობისაკენ (მაგალითად **ინტერესთა შეუთავსებლობის** დარღვევა). ყველაზე მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი დანაშაული იქნება გადასახადებისაგან თავის არიდება და/ან ფულის გათეთრება, რადაც ისინი როგორც წესი ახლოს დგანან ფარულ შემოსავლებთან. დასკვნები სხვა კონკრეტულ დანაშაულებზე, როგორც არის ფულის მითვისება ან კრთამის აღება, როგორც წესი ვერ გაკეთდება მინიშნებებიდან ფარული შემოსავლების შესახებ. ამდენად, მითითებები ფარულ შემოსავლებზე ან ქონებაზე ჩვეულებრივ გადაეცემა ორგანოს, რომელსაც აქვს კრიმინალური გამოძიების უფლებამოსილება და/ან საგადასახადო სამსახურს: თანამდებობის პირი, როგორც

¹⁶ ეს თავი ეფუძნება ან ციტირებს დიდ ნაწილს 2014 წლის ევროპის საბჭოს „პრაქტიკოსის სახელმძღვანელო საჯარო მოხელეების სამომოსავლო და ქონების დეკლარაციების დამუშავებისა და ანალიზისთვის“-დან; თუმცა იგი მოდიფიცირებულია და მორგებულია საქართველოს თავისებურებებზე.

წესი, არ განაცხადებს ფარული შემოსავლების ან ქონების შესახებ საგადასახადო დეკლარაციის მიზნებისთვის. ამავე დროს საჭიროა ჩატარდეს გამოძიება, რომ დადგინდეს მომდინარეობს თუ არა შემოსავალი კრიმინალური საქმიანობიდან და წარმოადგენს თუ არა მისი გამოყენება ფულის გათეთრებას.

ზედამხედველმა ორგანომ უნდა მოსთხოვოს მითითებულ ორგანოებს აცნობონ ინფორმაცია საქმის შედეგის შესახებ. საუკეთესო შემთხვევაში, ზედამხედველი ორგანო გააფორმებს ურთიერთგაგების მემორანდუმს სამართალდამცავ ორგანოებთან. ეს შესაძლებლობას მისცემს ზედამხედველ ორგანოს შეატყობინოს თანამდებობის პირის დისციპლინარულ ორგანოს, თუკი აღმოჩნდება, რომ მან ჩაიდინა სამართალდარღვევა (იმ შემთხვევაშიც კი თუკი სამართალდამცავი ორგანოები გადაწყვეტენ არ აღძრან სისხლისსამართლებრივი დევნა). დისციპლინური დევნის წარმოება საგადასახადო და სისხლისსამართლებრივი გამოძიების შემდგომ აგრეთვე ხელს შეუწყობს გამოძიების საიდუმლოების დაცვას; მაგრამ, დისციპლინური სამართალწარმოებისთვის გათვალისწინებულ უნდა იქნას ხანდაზმულობის ვადები. იმ შემთხვევაშიც, თუკი დისციპლინარული წარმოება არ დაიწყება (მაგალითად, იმიტომ რომ შესაძლო დარღვევას ადგილი ქონდა მხოლოდ სამასხურის გარეთ), მსგავსი ინფორმაცია მაინც ღირებულია სააგენტოებისთვის, რომლებიც მონიტორინგს უწევენ ასეთ წითელ დროშებს შიდა რისკის ანალიზის მიზნებისათვის.

F. პროცედურის დასრულება

1. ამოქმედება

შემდეგი შემთხვევები გამოიწვევს პროცედურის დახურვას ზედამხედველი ორგანოს მიერ:¹⁷

- დეკლარაციების შემოწმებამ (ფორმალური შემოწმება, სარწმუნოების შემოწმება – ასეთის არსებობის შემთხვევაში, აუდიტი) არ გამოავლინა დარღვევის არანაირი ნიშანი.
- შემოწმებამ გამოავლინა დარღვევის ნიშანი, მაგრამ:
 - o ზედამხედველმა ორგანომ ამოწურა გამოძიების ყველა შესაძლებლობა საკმარისი მტკიცებულების წარმოშობის გარეშე რომ გადაეცა საქმე სამართალდამცავი ორგანოებისათვის,
 - o ან საქმე გადაეცა სამართალდამცავ ორგანოებს (და შემდგომ, დისციპლინარულ ორგანოს), რომლებიც იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას ან აგზავნიან საქმეს სასამართლოში.

2. დეკლარაციების შესწორება

შეცდომების შესწორება ყოველთვის ზედამხედველმა ორგანომ უნდა განახორციელოს. პრინციპულად, შეცდომები ყოველთვის იმგვარად უნდა შესწორდეს, რომ თავდაპირველი, არასწორი ინფორმაცია, შესამჩნევი უნდა იყოს (გამოქვეყნებულ ვერსიაშიც კი). ამდენად, არასწორი დეკლარაციის შეცვლა სუფთა დეკლარაციით, როგორც წესი, არ უნდა იყოს შესაძლებელი. ამის მიზეზები შემდეგია:

¹⁷ ეს თავი ეფუძნება ან ციტირებს დიდ ნაწილს 2014 წლის ევროპის საბჭოს „პრაქტიკოსის სახელმძღვანელო საჯარო მოხელეების საშემოსავლო და ქონების დეკლარაციების დამუშავებისა და ანალიზისთვის“-დან; თუმცა იგი მოდიფიცირებულია და მორგებულია საქართველოს თავისებურებებზე.

- როდესაც შეცდომები რჩება დეკლარაციის ფორმაში, ეს (დამატებითი) სტიმულირებაა თანამდებობის პირისათვის, რომ ყურადღება მიაქციოს და სწორად მოახდინოს დეკლარირება.
- თავადპირველმა შეცდომამ შესაძლოა მიანიშნოს დარღვევაზე, რომელიც შეიძლება თვალსაჩინო გახდეს მხოლოდ გამოქვეყნებული დეკლარაციის მათვალისწინებელი პირისათვის.

თუმცა, ზედამხედველ ორგანოს შესაძლოა გარკვეული დისკრეცია ქონდეს ამ საკითხზე, როდესაც შეცდომა საკმარისად მცირე სჩანს.

3. საბოლოო ანგარიში

წერილობითი საბოლოო ანგარიში ასახავს შემოწმებისა და გამოძიების ყველა ნაბიჯს, ნებისმიერ გამოვლენილ შეუსაბამობას, და პროცედურის დახურვის მიზეზს.

4. თანამდებობის პირის ინფორმირება

თანამდებობის პირებს უნდა შეეძლოთ მონიშნონ დეკლარაციაში, რომ მათზე აუდიტის განხორციელების და საქმის დახურვის შემთხვევაში სურთ ინფორმირებულნი იყვნენ მის შედეგებზე. აუდიტის მიმდინარეობის განმავლობაში რეკომენდირებულია, რომ თანამდებობის პირები არ იყვნენ საქმის კურსში აღნიშნულის შესახებ, ვინაიდან ეს მისცემდა მათ საშუალებას ხელი შეუშალონ რევიზიას ფაქტებისა და მონაცემების მანიპულაციის გზით სანამ ზედამხედველი ორგანო დაეუფლება მათ.

5. არქივაცია

ყველა ფაილი (დეკლარაციები, საბოლოო ანგარიშები, კომუნიკაციები შემოწმების შესახებ, ა.შ.) არქივირდება სულ მცირე იმ ვადით რა ვადითაც ინახება ადამიანური რესურსების ფაილები.

G. საზოგადოების ინფორმირება და ჩართულობა

ზედამხედველი ორგანო რეგულარულად წარადგენს ანგარიშს მისი მუშაობის შესახებ, მაგალითისთვის, შემდეგი ინფორმაციის მითითებით:

ზედამხედველი ორგანო:

- უფროსი მოხელეები ან წევრები.
- სპეციალური ღონისძიებები (ტრენინგები, მონაწილეობა კონფერენციებში, ელექტრონული წარდგინების ამოქმედება, ა.შ.).

საქმეთა სტატისტიკა (წლიური ციფრები) და ტენდენციების ანალიზი:

- საჩივრები, მედიის რეპორტაჟები, სხვა უწყებების მიერ შეტყობინებული საქმეები, საქმეები გადაცემული პოლიციისთვის, გენერალური პროკურორისთვის, საგადასახადო სამსახურისთვის, დიციპლინარული წარმოებისთვის.
- მონაცემთა შესწორების შემთხვევები, ფორმალური შემოწმებები, სარწმუნოების სშემოწმებები, აუდიტი; შერჩევის კრიტერიუმები, გამოყენებული ძირითადი მეთოდოლოგია (დეტალები მხოლოდ შიდა გამოყენებისთვის უნდა იყოს).

- სანქციები.
- გახსნილი, ღია და დახურული გამოძიებები; მონაცემები სასამართლო გააღწევტილებების შესახებ. ტენდენციები, რეკომენდაციები.
- თანამშრომლობა სხვა სახელმწიფო უწყებებთან, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, უცხოურ და საერთაშორისო დაწესებულებებთან.

მისი შიდა პროცედურები უნდა იყოს შეძლებისდაგვარად გამჭვირვალე საზოგადოებისთვის. რეკომენდირებულია მოწვეულ იქნან საზოგადოების წევრები რომ დაესწრონ, მაგალითად, აუდიტს დაქვემდებარებულ თანამდებობის პირთა ლატარიის მეთოდით შერჩევას. ზედამხედველი ორგანო შესაძლოა (ან ნებაყოფლობითად შეუძლია) დაექვემდებაროს საქმიანობის შემოწმებას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ..

ზოგადად საზოგადოებასთან ურთიერთობას რაც შეეხება, ზედამხედველმა ორგანომ კრიტიკულად უნდა ასახოს და წარმოაჩინოს მისი სამუშაოს ღირებულება ზოგადად საზოგადოებისთვის. გამოვლენილ დარღვევათა დაბალი მაჩვენებელი შესაძლოა იყოს ნიშანი დეკლარირების რეჟიმის წარმატებული პრევენციული ეფექტისა.

H. ზედამხედველი ორგანო(ები)

1. შერჩევა

ვარიანტები, რომლებიც შეთავაზებული და განხილული იქნა მისიის დროს იყო შემდეგი:

ვარიანტი	უპირატესობა	ნაკლოვანება
1. საჯარო სამსახურის ბიურო	ერთ ადგილას თავმოყრილი გამოსავალი; დამოუკიდებელი ორგანო; აღიქმება პატიოსან ორგანოდ, დეკლარაციებთან მიმართებაში არსებული შიდა გამოცდილება; მონაცემთა ბაზის გადაცემა არ რის საჭირო	საჭიროებს ახალ ფინანსურ ექსპერტიზას და კავშირს მონაცემთა ბაზებთან ერთ ორგანოში
2. ადამიანური რესურსების დეპარტამენტები	უფრო ახლოს დგას თანამდებობის პირებთან ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხების მიზნით	საჭიროებს ახალ ფინანსურ ექსპერტიზას და კავშირს მონაცემთა ბაზებთან ყველა დეპარტამენტში
3. ახალი ანტი-კორუფციული/ეთიკის ორგანო	სინერგია სხვა ანტი-კორუფციულ საქმიანობასთან შესაძლო უფრო ძლიერი საგამომძიებლო მანდატი	საჭიროებს ახალ ფინანსურ ექსპერტიზას და კავშირს მონაცემთა ბაზებთან ერთ ორგანოში; ჯერ არ არსებობს
4. შემოსავლების სამსახური	ერთ ადგილას თავმოყრილი გამოსავალი; უკვე არსებული ფინანსური ექსპერტიზა	საჭიროებს კავშირს ახალ მონაცემთა ბაზებთან და მთლიანად სისტემის გადაცემას; არ არის დამოუკიდებელი ორგანო
5. სახელმწიფო აუდიტის სამსახური	ერთ ადგილას თავმოყრილი გამოსავალი; უკვე არსებული ფინანსური ექსპერტიზა	სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ უნდა გახდეს ზოგადი ანტიკორუფციული სააგენტო, რომელიც ფიზიკურ პირებს აკონტროლებს
6. ფინანსური მონიტორინგის სამსახური	ერთ ადგილას თავმოყრილი გამოსავალი; უკვე არსებული ფინანსური ექსპერტიზა	არცერთი ქვეყნის პრაქტიკაში არ არსებობს, რასაც აქვს სათანადო მიზეზი: ფოკუსირება უნდა მოხდეს და შეინახოს მონაცემები მხოლოდ ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით
7. კომბინაციები (მაგალითად, საჯარო სამსახურის ბიურო	კონტროლი და ბალანსი ორ ინსტიტუტს შორის; შემოსავლების სამსახურთან უკვე არსებული ფინანსური ექსპერტიზა	საჭიროებს კოორდინაციას, ორმაგ ძალისხმევას ორ სააგენტოში, ურთიერთქმედება წარმოშობს ინფორმაციის დაკარგვის რისკს

შემოსავლების სამსახურთან ერთად)		
8. ცენტრალური საარჩევნო კომისია (კანდიდატები/ პარლამენტის წევრები)	თანამდებობის პირებმა შესაძლოა უფრო კომფორტულად იგრძნონ თავი, როდესაც შემოწმებას მათი წრის წევრი განახორციელებს; უფრო ახლოს დგას თანამდებობის პირებთან ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხების მიზნით	ფუნქციების გაყოფა რამოდენიმე ორგანოზე იწვევს ძალისხმევას გაორმებას ან გასამმაგებას; ფინანსური ექსპერტიზის და მონაცემთა ბაზების შექმნა სამი სხვადასხვა ზედამხედველი ორგანოსათვის, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებლად იქნება პასუხისმგებელი აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების თანამდებობის პირებზე; არაეფექტური გამოსავალი; არ არის ერთგვარი მეთოდოლოგია; საზოგადოების ნაკლები ნდობა შემოწმების დამოუკიდებლობაზე თუკი ის განხორციელდება ახლო გარემოში ერთი წრის წევრების მიერ თანასწორებზე.
9. საპარლამენტო კომიტეტები (პარლამენტის წევრები)	თანამდებობის პირებმა შესაძლოა უფრო კომფორტულად იგრძნონ თავი, როდესაც შემოწმებას მათი წრის წევრი განახორციელებს; უფრო ახლოს დგას თანამდებობის პირებთან ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხების მიზნით	
10. იუსტიციის უმაღლესი საბჭო (მოსამართლეები)	თანამდებობის პირებმა შესაძლოა უფრო კომფორტულად იგრძნონ თავი, როდესაც შემოწმებას მათი წრის წევრი განახორციელებს; უფრო ახლოს დგას თანამდებობის პირებთან ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხების მიზნით	

დაინტერესებულ პირთა უმრავლესობა რომლებთანაც ჩატარდა გასაზურება მისიის დროს დაეთანხმნენ, რომ არსებული სისტემის ფარგლებში, ზედამხედველობის ფუნქცია ყველაზე ბუნებრივად ერგებოდა საჯარო სამსახურის ბიუროს. ცხადია, თუკი საქართველო გადაწყვეტს შექმნას ახალი ანტი-კორუფციული ორგანო, ეს სავარაუდოდ შექმნის გადახედვის შესაძლებლობას, რომ ყველა ანტი-კორუფციული ფუნქცია, მათ შორის ფინანსური დეკლარაციების შემოწმება, თავმოყრილი იქნას ერთ სააგენტოში.

2. კომპეტენციები

ზემოთ აღწერილი შემოწმების პროცედურიდან გამომდინარე, ზედამხედველ ორგანოს დასჭირდება შემდეგი

- **დეკლარაციების შემოწმება (ფინანსური და ინტერესთა შეუთავსებლობის ასპექტები)**
 - o თანამდებობის პირების და ოჯახის წევრების მოცვა (როგორც ეს განმარტებულია ინტერესთა კონფლიქტის კანონში)
 - o წარდგენის შესაბამისობა
 - o ფორმალური კონტროლი
 - o სარწმუნოების კონტროლი
 - o აუდიტი, მათ შორის შემდეგი ხერხები:
 - წვდომა სახელმწიფო მონაცემთა ბაზებთან (გამლირებული კონფიდენციალობიდან გამომდინარე გარკვეული გამონაკლისებით, როგორც არის ფულის გათეთრების მონაცემები)
 - რევიზიის პროცესში საექსპერტო დახმარების მოთხოვნა სხვა სახელმწიფო სააგენტოებისგან (როგორც არის მიწის ღირებულების შეფასება)
 - პირის თანხმობის საფუძველზე წვდომა საბანკო მონაცემებთან
 - ნებაყოფლობითი ინფორმაციის გამოთხოვა ნებისმიერი იურიდიული თუ ფიზიკური პირისაგან
 - ნებისმიერი საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის გამოყენება (კვლევა ინტერნეტში, კომერციული ბაზები, ა.შ.)
 - ადგილზე დათვალიერება ინდივიდუალური შემოწმების მიზნით
 - o ობიექტურ კრიტერიუმზე დაყრდნობით ნიმუშების შერჩევა
- შემოწმების პროცედურას აქვს ერთადერთი პრევენციული მიზანი. როგორც სხვა ადმინისტრაციული ანალიზის და კონტროლის პროცედურები (შიდა ინსპექციები, სახელმწიფო აუდიტები, ან ფულის გათეთრების ანალიზი), მას შეუძლია სრულად გამოიკვლიოს საქმე, კერძო ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიმართ რაიმე იძულებითი თუ სპეციალური საგამოძიებო საშუალებების გარეშე (დაკითხვა, თვალთვალი, სახლის ჩხრეკა, ა.შ.); ეს უკანასკნელი სამართალდამცავი ორგანოების პრეროგატივაა და ადგენს შემოწმების პროცესის საზღვრებს.
- **რჩევა**

ზედამხედველი ორგანო ვალდებულია უპასუხოს ნებისმიერ კითხვას თუ როგორ უნდა იქნას განმარტებული და შესრულებული დეკლარირების ვალდებულება, მაგალითად, როგორ უნდა შეივსოს ფორმები, ან ბუნდოვანი შემთხვევები, ა.შ. ყველა პასუხი უნდა გასაჯაროვდეს ვებ გვერდის „კითხვა-პასუხის“ სექციის მეშვეობით, რათა სხვა პირებმაც ისარგებლონ ამ ინფორმაციით.

- **საზოგადოების ინფორმირება და ჩართულობა**

ზედამხედველი ორგანო უნდა დაუკავშირდეს საზოგადოებას, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებს და მედიას, რათა უზრუნველყოს პროცესის გამჭვირვალობა, საზოგადოების მხარდაჭერა, და საკუთარი თავის საზოგადოებრივი განსჯისა და გამჭვირვალობისთვის გამოფენა. მან სისტემატურად უნდა გააკეთოს მოხსენებები საკუთარ საქმიანობაზე, რაც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საქმეების სტატისტიკაზე (წლიური ციფრები), გამოყენებულ მეთოდებზე, და ტენდენციების ანალიზის შესახებ (იხილეთ თავი G ზევით).

- **საქმეების გადაცემა**

ზედამხედველი ორგანო ნებისმიერ საქმეს შესაძლო საგადასახადო, სისხლისსამართლებრივი დანაშაულით თუ სხვა სააღსრულებო შედეგით გადასცემს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოს, ან დისციპლინური დარღვევის შემთხვევაში (ინტერესთა შეუთავსებლობა) - შესაბამის სახელმწიფო ორგანოს.

- **სანქციების დაწესება**

ზედამხედველი ორგანო - როგორც არსებული მდგომარეობით საჯარო სამსახურის ბიურო ინტერესთა შეუთავსებლობის კანონის შესაბამისად - პასუხისმგებელია გვიანი წარდგინებისთვის ადმინისტრაციული სანქციების ადმინისტრირებაზე.

3. ადამიანური რესურსები

ციფრულობის განსაკუთრებული დონე საქართველოში მნიშვნელოვნად დააჩქარებს აუდიტის პროცედურას. ორი სამტატო ერთეულით, ზედამხედველ ორგანოს ექნება დაახლოებით 500 ადამიანის პროდუქტიულობა წელიწადში. ეს შესაძლებლობას მისცემს განახორციელოს სულ მცირე 100 სრული რევიზია მრავალი სხვა სამუშაოს გარდა:

- რჩევების მიცემა თანამდებობის პირებისათვის;
- კავშირის შენარჩუნება სახელმწიფო მონაცემთა ბაზებთან;
- დელკარირების და შემოწმების სისტემის განვითარება;
- საზოგადოებასთან ურთიერთობა და ანგარიშგება;
- ზომები მონაცემთა დაცვისათვის.

საწყის ეტაპზე ზედამხედველი ორგანო სავარაუდოდ ვერ შეძლებს ბევრი აუდიტის განხორციელებას, ვინაიდან მისი რესურსების დიდი ნაწილი წავა შესაბამისი პერსონალის დაქირავებაზე, საცდელ მეთოდოლოგიაზე ფორმალურ შეთანხმებაზე, ა.შ..

პერსონალის კვალიფიკაცია: აუდიტის პერსპექტივა არის პერსპექტივა ფინანსური გამომძიებლის, ფულის გათეთრების ანალიტიკოსის, საგადასახადო ინსპექტორის, ან დამოუკიდებელი აუდიტორის პერსპექტივა. აუდიტის განმახორციელებელი პერსონალი უნდა შეესაბამებოდეს ექვივალენტურ პროფილს. ზედამხედველ ორგანოს აგრეთვე უნდა

ქონდეს იურიდიული რესურსი (უკვე არსებულ პერსონალში), რადგან დროდადრო წარმოიშვება კითხვები ინფორმაციის აუდიტის კანონიერ შესაძლებლობებზე, შემოსავლების წარმოშობისა და შეტყობინების სამართლებრივ მოთხოვნებზე, ფინანსური ტრანზაქციების დოკუმენტირებაზე, მონაცემთა დაცულობის საკითხებზე, სანქციების დაწესებაზე, ან ინფორმაციის თავისუფლებაზე.

4. ტექნოლოგია

ზედამხედველ ორგანოს დასჭირდება:

- კომპიუტერით აღჭურვილი სამუშაო ადგილები თითოეული პერსონალისთვის
- არსებული პროგრამული უზრუნველყოფის განახლება, რომ მოხდეს დეკლარაციების ანალიზი სარწმუნოებისთვის და შეძლებისდაგვარად დაიხვეწოს ავტომატიზირებული ფორმალური შემოწმება როდესაც თანამდებობის პირს შეყავს ინფორმაცია სისტემაში.
- ინტერფეისი მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან, რათა იყოს წვდომა სახელმწიფო მონაცემთა ბაზებთან.

5. მონაცემთა დაცვა

ზედამხედველ ორგანოს შეხება ექნება დიდი ოდენობის და მრავალფეროვან სენსიტიურ მონაცემებთან. მნიშვნელოვანია, რომ ზედამხედველმა ორგანომ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მოიპოვოს რჩევები სათანადო მექანიზმებზე. მონაცემთა დაცულობა აგრეთვე გამოიწვევს რიგ საკანონმდებლო შედეგებს (იხილეთ ქვემოთ).

6. საკანონმდებლო ცვლილებები

საჭირო იქნება ცვლილებები შემდეგ კანონებში, კერძოდ:

- შესაბამისი ზედამხედველი ორგანოს მარეგულირებელი კანონი, ან ინტერესთა შეუთავსებლობის კანონი:
 - o ზემოაღნიშნული კომპეტენციები:
 - თანამდებობის პირებზე და ოჯახის წევრებზე შემოწმების განხორციელება, აუდიტის ჩათვლით, მათ შორის:
 - წვდომა სახელმწიფო მონაცემთა ბაზებთან (გამლირებული კონფიდენციალობიდან გამომდინარე გარკვეული გამონაკლისებით, როგორც არის ფულის გათეთრების მონაცემები)
 - რევიზიის პროცესში საექსპერტო დახმარების გამოთხოვა სხვა სახელმწიფო სააგენტოებისგან (როგორც არის მიწის ღირებულების შეფასება)
 - პირის თანხმობის საფუძველზე წვდომა საბანკო მონაცემებთან
 - ნებაყოფლობითი ინფორმაციის გამოთხოვა ნებისმიერი იურიდიული თუ ფიზიკური პირისაგან
 - ნებისმიერი საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის გამოყენება (კვლევა ინტერნეტში, კომერციული ბაზები, ა.შ.)
 - ადგილზე დათვალიერება ინდივიდუალური შემოწმების მიზნით
 - ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ნიმუშების შერჩევა
 - აუდიტის განხორციელების შესაძლებლობა თანამდებობის პირის ან შესაბამისი ოჯახის წევრის წინასწარი გაფრთხილების გარეშე
 - საქმეების გადაცემა სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისთვის (სამართალდამცავი, ადმინისტრაციული და დისციპლინარული)
 - o დებულებები მონაცემთა დაცულობაზე, რომლებიც არ არის მოცული არსებული კონკრეტული კანონით: განმარტება თუ რა მიზნით იქნება გამოყენებული მონაცემი (ფინანსური დეკლარაციების ადმინისტრაციული შემოწმება); თანამდებობის პირის უფლება ქონდეს ინფორმაცია როგორ ხდება მისი მონაცემების ავტომატური დამუშავება (სავარაუდოდ რაც უკვე მოცულია მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით).

- თანამდებობის პირების, მათი ოჯახის წევრების ან მესამე პირების სამართლებრივი ბერკეტები (თუკი უკვე არა რის გათვალისწინებული სპეციალური კანონით) თუკი მათი უფლებები იქნა დარღვეული (მონაცემების დაცულობის წესების დარღვევა, დისკრიმინაციული შერჩევა აუდიტისთვის, სამოქალაქო უფლებების ხელყოფა კომპეტენციას გადამეტებული რევიზიით)
- დებულება ინფორმაციის თავისუფლების შესახებ: განსაზღვრა, თუ რომელი ინფორმაცია არ არის საჯარო (შემოწმების დეტალური მეთოდოლოგია, ვინაიდან ეს შესაძლებლობას მისცემდა თანამდებობის პირებს მოტყუებით მთარგონ დეკლარაცია და „იფრინონ რადარის ქვეშ“¹⁸; პირადი სენსიტიური მონაცემები).
- შესაძლო სხვა კანონები: სხვა სახელმწიფო ორგანოების ვალდებულება აქტიურად შეატყობინონ ზედამხედველ ორგანოს იმ შემთხვევების შესახებ, როდესაც დეკლარირება შეიძლება იყოს არასწორი (მაგალითად, საგადასახადო დანაშაულის შემთხვევაში საგადასახადო ადმინისტრაცია ვალდებული უნდა იყოს შეატყობინოს ზედამხედველ ორგანოს). ეს აგრეთვე შეიძლება განხორციელდეს ურთიერთგაგების მემორანდუმის მეშვეობით.
- ინტერესთა შეუთავსებლობის კანონი: ინტერესთა შეუთავსებლობის ზედამხედველობა ცალსახად თანამდებობის პირის ზემდგომის ვალდებულება უნდა იყოს, ადამიანური რესურსების დეპარტამენტის ან ეთიკის მრჩეველის შესაძლო დახმარებით. მოსამართლეებისთვის, ზემდგომი არის იუსტიციის უმაღლესი საბჭო, პარლამენტის წევრებისთვის - შესაბამისი დისციპლინური კომისია. იმისდა მიუხედავად, რომ ინტერესთა შეუთავსებლობის შემოწმება თანამდებობის პირის ზემდგომის ძირითადი ვალდებულებაა, ზედამხედველ ორგანოს უნდა ქონდეს შესაძლებლობა შეამოწმოს ნებისმიერი აშკარა დარღვევა და აცნობოს ამის შესახებ პირველადი პასუხისმგებლობის მატარებელ ზემდგომს შემდგომი ქმედებისათვის.
- მთლიანი საკანონმდებლო რეფორმა უნდა შეფასდეს ერთი, ორი და ხუთი წლის თავზე, რათა მოხდეს მისი ადაპტირება დაგროვილ გამოცდილებაზე დაყრდნობით, კერძოდ კი, რათა მოხდეს დეკლარირების სისტემის მოდიფიცირება ეფექტური რევიზიის საჭიროებებიდან გამომდინარე.

საკანონმდებლო რეფორმა შემოწმების სისტემის შემოღების მიზნით კარგი შესაძლებლობაა გადახედოდა იქნას საკითხები, რომლებიც არ არის უშუალო კავშირში შემოწმების სისტემასთან. რამოდენიმე შეთავაზება უკვე არსებობს სისტემის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.¹⁹

¹⁸ მთარგმნელის შენიშვნა: ეს გამონათქვამი ნიშნავს ფარულად/შეუმჩნეველად დარჩენას. როდესაც თვითმფრინავი იმყოფება დაბალ სიმაღლეზე მისი იდენტიფიცირება რადარებით ვერ ხდება, ამდენად რადარის ქვეშ ფრენა ნიშნავს რადარის შეუმჩნეველად ფრენას.

¹⁹ მაგალითად იხილეთ: <http://transparency.ge/en/blog/authorities-are-not-reacting-public-officials-concealing-information-asset-declarations>.

დანართი I: საცდელი კითხვარი შემოწმების პროცედურისთვის

შემდგომი ჩამონათვალი შეიძლება გამოყენებულ იქნას ყოველი დეკლარაციისთვის ნაბიჯების დასაცავად:

1. რეგისტრაცია
2. გამოქვეყნება
3. წარდგენის შესაბამისობა
 - a. ნიმუში: ყველა
 - b. დრო: ბოლო ვადის შესაბამისად
 - c. შეუსრულებლობა:
 - i. იურიდიული სანქციები
 - ii. მოხელის უფროსის ან ადამიანური რესურსების დეპარტამენტის შეტყობინება
 - iii. სრული აუდიტი
4. ფორმალური შემოწმება
 - a. ნიმუში: ყველა
 - b. ანალიზის ნაბიჯები
 - i. შევსებულია ყველა შესაბამისი ველი?
 - ii. შეყვანილია ყველა საჭირო მონაცემი?
 - iii. შეესაბამება მონაცემი შესაბამის ველს?
 - c. შეუსრულებლობა:
 - i. იურიდიული სანქციები
 - ii. მოხელის უფროსის ან ადამიანური რესურსების დეპარტამენტის შეტყობინება
 - iii. სრული აუდიტი
5. სარწმუნოების შემოწმება
 - a. ნიმუში: ყველა(კომპიუტერული)
 - b. ანალიზის ნაბიჯები
 - i. შემომავალი ფულის და ქონების ნაკადის დამატება
 - ii. გამავალი ფულის და ქონების ნაკადის დამატება
 - iii. შემომავალი და გამავალი ნაკადების თანაფარდობა (შემოსვალი v. ხარჯი/ქონება)
 - c. სარწმუნოების ნაკლებობა: აუდიტი
6. აუდიტი
 - a. ამოქმედება
 - i. დარღვევები წინა ნაბიჯებში
 - ii. წითელი დროშები
 - iii. ღია და ანონიმური საჩივრები
 - iv. მედიის რეპორტაჟი

- v. ინფორმაცია სხვა დაწესებულებებიდან
 - vi. სხვა დარღვევები
 - vii. შემთხვევითი ნიმუში და რისკის კრიტერიუმი
- b. გამოძიების სტრატეგია
- c. ინფორმაციის ყველა წყაროს გამოყენება
- i. ელექტრონული და წერილობითი მონაცემი
 - 1. მონაცემთა ბაზები
 - 2. საჯარო ქაღალდის საბუთები
 - 3. კვლევა ინტერნეტში
 - 4. საბანკო ტრანზაქციები (საჯარო მოხელის თანხმობით)
 - 5. სხვა დეკლარაციები
 - ii. ადგილზე დაკვირვება
 - iii. ინტერვიუები
 - 1. ექსპერტები, მესამე პირები
 - 2. საჯარო მოხელე, ოჯახის წევრი
 - iv. სავალდებულო ზომები სხვა სააგენტოების მიერ (თუ ეჭვი მართებულია)
 - v. მონაცემები უცხოური ბაზებიდან
7. საქმეების გადაცემა სხვა დაწესებულებებისათვის
8. სანქცირება (შესაძლო იურიდიული პასუხისმგებლობის ნაირსახეობა და დარღვევების განმარტებები)
9. პროცედურის დასრულება
- a. დეკლარაციების შესწორება?
 - b. საბოლოო ანგარიში
 - c. ხელმოწერა
 - d. არქივირება
10. რჩევა ანგარიშზე

დანართი II: ფარული სიმდიდრის რეალური გამოძიებები

ქონებრივ დეკლარაციებზე არსებული მრავალრიცხოვანი პუბლიკაციების მიუხედავად (იხილეთ დანართი III), მწირია დოკუმენტაცია თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციების რეალური გამოძიებების შესახებ. როგორც ჩანს, მხოლოდ შემდეგი ორი პუბლიკაცია მოიცავს ჯამში 35 რეალურ საქმეს:

- ევროპის საბჭოს ტექნიკური ქაღალდი, ფინანსური დეკლარაციების დამუშავება და შემოწმება - სახელმძღვანელო სომხეთის თანამდებობის პირების ეთიკის კომისიებისთვის (2013), ტილმან ჰოპეს და ვალტს კალნინსის მიერ EaP-პროექტისთვის (დანართი II, ოთხი საქმე გამოძიებული იქნა რუმინეთის პატიოსნების სააგენტოს მიერ).²⁰
- საჯარო ადმინისტრირების რეგიონალური სკოლა (ReSPA), შედარებითი კვლევა – საშემოსავლო და ქონებრივი დეკლარაციები პრაქტიკაში (2013), რედატორი ტილმან ჰოპე (თავი 2, 31 რეალური საქმეები გამოძიებული დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების ზედამხედველი ორგანოების მიერ).²¹

²⁰ www.coe.int/eap-corruption.

²¹ <http://www.respaweb.eu/11/library#respa-publications-and-research-18>.

დანართი III: პუბლიკაციები ქონების დეკლარაციებზე

საჯარო მმართველობის რეგიონალური სკოლა (ReSPA), შედარებითი კვლევა – საშემოსავლო და ქონების დეკლარაციები პრაქტიკაში, რედაქტორი ტილმან ჰოპე (სექტემბერი 2013), 222 გვერდი

www.respaweb.eu/11/library#respa-publications-and-research-18

მსოფლიო ბანკი/საჯარო ანგარიშსწორების მექანიზმები (PAM) ინიციატივა, ფინანსური მხილების სისტემები, ინტერესთა, საშემოსავლო და ქონების დეკლარაციები – საწყისი სახელმძღვანელო (სექტემბერი 2013), 9 გვერდი

https://aqidata.org/Pam/Documents/FD%20Primer_30Sep2013.pdf

ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს ტექნიკური ქაღალდი, ფინანსური დეკლარაციების დამუშავება და შემოწმება - სახელმძღვანელო სომხეთის თანამდებობის პირების ეთიკის კომისიებისთვის (2013), ტილმან ჰოპეს და ვალტს კალნინსის მიერ EaP-პროექტისთვის, 44 გვერდი

www.coe.int/t/DGHL/cooperation/economiccrime/corruption/Projects/EaP-CoE%20Facility/EaP_TP_default_en.asp

მსოფლიო ბანკი, საჯარო სამსახური, კერძო ინტერესები: ანგარიშვალდებულება საშემოსავლო და ქონებრივი დეკლარაციებით (2012), 150 გვერდი

http://www1.worldbank.org/finance/star_site/documents/PublicPrivateInterests/Public-Office-Private-Interests.pdf

რეგიონალური ანტიკორუფციული ინიციატივა (RAI), წესები და გამოცდილებები პატიოსნების საკითხებზე (2012), 119 გვერდი

http://www.rai-see.org/doc/Study-Rules_and_experiences_on_integrity_issues-February_2012.pdf

OECD, ქონების დეკლარაციები საჯარო მოხელეებისთვის – კორუფციის პრევენციის საშუალება (2011), 148 გვერდი

www.oecd.org/dataoecd/40/6/47489446.pdf

რიჩარდ მესიკი, საშემოსავლო და ქონების დეკლარაციები: საკითხები, რომლებიც უნდა იქნას გათვალისწინებული გამჟღავნების სისტემის შემუშავებისას, U4 ISSUE 2009:6, 20 გვერდი

www.u4.no/publications/income-and-assets-declarations-issues-to-consider-in-developing-a-disclosure-regime/

მოპარული ქონების დაბრუნება (StAR) ინიციატივა/მსოფლიო ბანკი/UNODC, საშემოსავლო და ქონების დეკლარაციები: საშუალებები და კომპორმისები (2009), 179 გვერდი

www.unodc.org/documents/corruption/Publications/StAR/StAR_Publication_-_Income_and_Asset_Declarations.pdf

დანართი IV: ინტერვიუები ქვეყნის შიგნით

12 მარტი 2014

- 10:30 – 11:45 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
ქ-ნი რუსუდან მიხელიძე, ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი,
<http://justice.gov.ge/>
- 12:00 – 13:30 საქართველოს საჯარო სამსახურის ბიურო
ქ-ნი ეკატერინე ქარდავა, დირექტორი, www.csb.gov.ge
- 14:30 – 17:00 საქართველოს შემოსავლების სამსახური
ბ-ნი ირაკლი გვარამაძე, დირექტორი, www.rs.ge
- 17:00 – 18:30 საქართველოს მთავრობის კანცელარია
ბ-ნი შალვა თადუმაძე, საპარლამენტო მდივანი,
<http://government.gov.ge/>

13 მარტი 2014

- 10:00 – 12:00 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი
ქ-ნი თამარ ქაღანი, www.personaldata.ge
- 14:30 – 16:30 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
ბ-ნი პაპუნა უგრეხელიძე, ხელმძღვანელი, <http://napr.gov.ge/>
- მონაცემთა გაცვლის სააგენტო
ბ-ნი ირაკლი გვენეტაძე, თავმჯდომარე, www.dea.gov.ge
- 16:30 – 18:30 საქართველოს ფინანსური მონიტორინგის ცენტრი
ბ-ნი მიხეილ როინიშვილი, დირექტორი, <http://fms.gov.ge/>

14 მარტი 2013

- 10:00 – 11:30 საქართველოს სახელმწიფო აუდიტი
ბ-ნი დევი ვეფხვაძე, გენერალური აუდიტორის მოადგილე,
www.sao.ge
- 12:00 – 13:30 არასამთავრობო ორგანიზაციები
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი,
www.idfi.ge:
- *ბ-ნი გიორგი კლდიაშვილი*, დირექტორი
 - *ბ-ნი ლევან ავალიშვილი*, საბჭოს თავმჯდომარე, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო,
www.transparency.ge:
 - *ბ-ნი ერეკლე ურუშაძე*, პროექტის მენეჯერი
 - *ბ-ნი ლაშა გოგიძე*, უფროსი ანალიტიკოსი
 - *ქ-ნი თამარ გზირიშვილი*, მკვლევარი
- ბ-ნი სულხან სალაძე*, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, www.gyla.ge

ქ-ნ ნინო ევგენიძე, აღმასრულებელი დირექტორი, ეკონომიკური
პოლიტიკის კვლევის ცენტრი, www.eprc.ge